www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 10 სექტემბერი, 2009 წელი. №196 (2234) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

"კომუნისტების" მორიგი მარცხი მოლდოვაში

A5



ყვითელი აგურის გზა

A6



ზესტაფონური სიურპრიზი

A8



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენი სადაზღვევო ჯგუფი

# ეს ქართული კალათბურთია



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საქართველოს ნაკრები A დივიზიონში ითამაშებს.*

ბიბა ბურასაშვილი

*ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის საპასუხო მატჩი. საქართველო VS ბელარუსი.*

*პასუხი კი ასეთი იყო: მოთელვაზე შემოსულ ბელარუსებს სპორტის სასახლე სტვენით შეეგება. საქართველოს ნაკრებმა კი სტუმარ-მასპინძლობა დაივიწყა და მეტოქეს, ისევე როგორც გასვლით შეხვედრაში, საკუთარ კედლებშიც სძლია. ეგაა, 5 სექტემბრისა და გუშინდელ შეხვედრაში სხვაობა ის იყო, რომ საქართველომ მეტოქეზე ორი ქულით - 86:84 იმარჯვა. როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს ნაკრები ელიტაშია. B დივიზიონი ისტორიას ჩაბარდა. ქართული საკალათბურთო სკოლა ბობოლებში გაერია.*

გაგრძელება A8 გვერდზე

# ჰუმანიტარული წარმატება

### პოლიტიკური კონტექსტით

*გუშინ საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. მწვავე დებატების შემდეგ, გაერო-ს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი დაამტკიცეს. გაერო-ს რეზოლუციაში პირველად გაჩნდა ტერმინი ცხინვალის რეგიონი.*

დათო გამისონია

63-ე ასამბლეაზე კენჭისყრაში საქართველოს სასარგებლოდ 48 ქვეყანამ მისცა ხმა, 78-მა თავი შეიკავა, ხოლო 19 სახელმწიფო, რუსეთის ძალისხმევით, დაუპირისპირდა რეზოლუციის ქართულ პროექტს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი სერგი კაპანაძე, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, "24 საათს" მიღებული რეზოლუციის შინაარსის შესახებ ესაუბრა. მისი თქმით, ჰუმანიტარული ხასიათის რეზოლუცია მოწოდებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფისკენ. ამასთან, რეზოლუცია გულისხმობს მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებას. კერძოდ, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა შემდეგ სხდომაზე უნდა გააკეთოს მოხსენება, სადაც დაწვრილებით იქნება საუბარი რეზოლუციაში აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის გზებზე. კაპანაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რეზოლუცია გმობს დემოგრაფიული მდგომარეობის იძულებით შეცვლასა და მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით დევნას. გარდა ამისა, აქცენტი კეთდება ჰუმანიტარულ ეფექტზე, ხოლო შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში უნდა შემუშავდეს. ამ ყველაფერთან ერთად, კაპანაძე ქართული დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევს საკუთრივ დოკუმენტის სათაურს - **"რეზოლუცია - საქართველოდან, აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან / სამხრეთ ოსეთიდან, საქართველოდან, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების შესახებ."** კაპანაძის თქმით, **"მთელმა ცივილიზებულმა და საერთაშორისო სამართლის პატივისმცემელმა სამყარომ მხარი დაუჭირა რეზოლუციას."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევროპამ რუსეთს წამზომი ჩაურთო

*ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის გუშინდელი სხდომა ხანგრძლივი და დამღლელი გამოდგა. მომხსენებლებმა მათიას ეორშიმ და ლუკ ვან დერ ბრანდემ ანგარიში წარმოადგინეს და დელეგაციის წევრებს განუმარტეს, თუ როგორ შეასრულეს საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები. ორივე მხარე თავის სასარგებლოდ ცდილობდა ანგარიშში ცვლილებების შეტანას.*

დათო გამისონია

პარიზში გამართული რვასაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დოკუმენტში რუსეთს დამატებითი ვალდებულება დაეკისრა. ახლად ჩამატებული მუხლით რუსეთი იძულებული ხდება, რომ 2010 წლის 25 იანვრამდე შეასრულოს მთელი რიგი მოთხოვნები, კერძოდ - N1633 და N1647 ევროსაბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული პირობები. დოკუმენტების მიხედვით, ევროსაბჭო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთმა პატივი უნდა სცეს საერთაშორისოდ დადგენილ საზღვრებს. მოსკოვი ვალდებულია, გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და უკან წაიღოს ოკუპირებული ტერიტორიების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება. რაც შეეხება ანგარიშის ძირითად ტექსტს, ის ორი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველად დეტალურად არის ასახული, როგორ ხდებოდა სამხედრო აგრესიისთვის მზადება და ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები. ხოლო, მეორე ნაწილში მკაცრად არის გაკრიტიკებული რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. **"საქართველო ყველა ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს, რუსეთს კი ამ დრომდე არც ერთი რეკომენდაცია არ შეუსრულებია. ჩემი აზრით, რუსეთი კი არ უნდა გავრიცხოთ, არამედ მას მკაცრად უნდა მოვთხოვოთ ვალდებულებების შესრულება,"** - განმარტავს ეორში. იმის გამო, რომ ანგარიშში თავი აარიდეს რუსეთის წინააღმდეგ უკიდურესი ზომების მიღებას, ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელი გარკვეულწილად კმაყოფილია მიღებული გადაწყვეტილებებით.

გაგრძელება A2 გვერდზე

## პარლამენტი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ართულებს

საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტი საჯარო დაწესებულებას უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი.

"ახალგაზრდა იურისტთა" ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ საჯარო დაწესებულებებისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება მოქალაქეებს ინფორმაციის დროულად მოპოვებაში ბევრ სირთულეს შეუქმნის. **"ნებისმიერი ცვლილება არსებული უფლების უკეთ რეალიზებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენი აზრით კი, მუხლის შემოთავაზებული ფორმულირება დააბრკოლებს ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიღებას. სწორედ ინფორმაციის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე არის მნიშვნელოვანი, რომ საჯარო დაწესებულებებს არ გააჩნდეთ ავტონომიური წესების დადგენის უფლებამოსილება. ამასთან, ნორმის შემოთავაზებული ფორმულირებიდან ნათლად არ იკვეთება კანონმდებლის ნება - უნაღდო და ნაღდ ანგარიშსწორებას მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიულ საშუალებებად მიიჩნევს თუ ორივე მათგანის ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას უშვებს,"** - აღნიშნავს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი. **საკუთარი ინფორმაცია**

## ედუარდ კოკოითი რუსულ "საერთაშორისო ფორუმში" მონაწილეობას აპირებს

რუსული სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის სეპარტისტული რეჟიმის ლიდერი ედუარდ კოკოითი ნოვოსიბირსკში "ინტერრას" საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. კოკოითი ნოვოსიბირსკში "ქართული აგრესიის" ამსახველ ფოტოგამოფენას გახსნის.

რუსული მედიის ცნობით, სეპარტისტთა ლიდერი რუსეთში სამ დღეს დარჩება. ციმბირში, ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმის ლიდერთან ერთად, ცხინვალის დე ფაქტო პარლამენტის ე. წ. ვიცე-სპიკერი იური ზუცროითი და ე.წ ადამიანის უფლებათა დამცველი დავიდ სანაკოევი იმყოფებიან.

ვიზიტის პირველივე დღეს კოკოითი ნოვოსიბირსკში ფორუმზე ჩასულ ბიზნესმენებთან საქმიან მოლაპარაკებებსაც გამართავს. **საკუთარი ინფორმაცია**

## ნოღაიდელის პარტიამ პარლამენტის გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა

მოძრაობამ "სამართლიანი საქართველოსთვის" მიმდინარე წლის 27 სექტემბრის შუალედური არჩევნების 2010 წლის გაზაფხულისთვის გადადება გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

მოძრაობას მიაჩნია, რომ შუალედური არჩევნების გადადებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და 28-ე მუხლები, რომლებიც მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, ჰყავდეთ საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს - წარმოდგენილნი იყვნენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

სარჩელში აღნიშნულია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით შეილახა საქართველოს კონსტიტუცია, რომლითაც არჩევნების გადადების საკითხები მკაცრად არის დარეგულირებული. კერძოდ, ქვეყნის ძირითად კანონში წერია, რომ მსგავსი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ქვეყანაში საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში.

ორი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოებაში მიიღებს თუ არა მოძრაობის "სამართლიანი საქართველოსთვის" სარჩელს.

მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" გამოთქვამს იმედს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ დაუშვებს შუალედური არჩევნების კანონიერი ვადების დარღვევას და ხორცს არ შეასხამს ხელისუფლებისა და მისი სატელიტი ფსევდოოპოზიციური პარტიების პოლიტიკურ დაკვეთას. **საკუთარი ინფორმაცია**

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი

**მედეა ჩახავა**

---

ვაჟა ნემსაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**გურამ თავართქილაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

# ოპოზიციური ინიციატივები პარლამენტში

თამარ ხორბალაძე

*პარლამენტის საშემოდგომო სესია გახსნილია. მიმდინარე კვირის დღის წესრიგში ყველაზე საინტერესოა ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების ანგარიშები და საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც ხელისუფლება პარლამენტში ოპოზიციის ნაწილის დაბრუნებას გეგმავს. თუმცა მანამ, ვიდრე საპარლამენტო ოპოზიციის რიცხოვნობა გაზრდილა, ოპოზიციურ ძალებს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი ინიციატივები შეაქვთ და მათ გატანაზე კონსულტაციებსაც იწყებენ.*

### "ქრისტიან-დემოკრატების" ეკონომიკური წინადადებები

გუშინ პარტიის ეკონომიკური ინიციატივები წარადგინა "ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ. "ქრისტიან-დემოკრატები" საშემოდგომო სესიაზე "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების" და "ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ" კანონპროექტების წარდგენას გეგმავენ. ამასთან, ფრაქციას უკვე წარმოდგენილი აქვს საკანონმდებლო ინიციატივა კოლექტიური მრიცხველების გაუქმებისა და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების შესახებ. ოპოზიციური ფრაქცია, ასევე, პრიორიტეტულად მიიჩნევს გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტის აკრძალვას და მხარს უჭერს ამის შესახებ უმრავლესობის წარმომადგენლის გიორგი გოგუაძის ინიციატივას.

ამასთან, გიორგი თარგამაძის განცხადებით, უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის სტრუქტურის შესწავლა და ამის შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტული მიმართულებებისთვის გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხების გამოყოფა.

"ქრისტიან-დემოკრატები" მომავალი წლიდან სოფლის პროგრამის გასამმაგებას და 60 მილიონი ლარით დაფინანსებასაც ითხოვენ. თარგამაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე მისი ფრაქციის წევრებმა სოფლების მონიტორინგი ჩაატარეს და გაირკვა, რომ ეს თანხები არც ერთ სოფელში არ არის მიზანმიმართულად დახარჯული. ამასთან, მოსახლეობა არც ერთ სოფელში არ შეკრებილა სპეციალურად და თანხების გახარჯვის გეგმებზე არ შეთანხმებულა. დეპუტატის ინფორმაციით, დაფიქსირდა რამდენიმე კურიოზული შემთხვევაც, როდესაც ერთ რეგიონში ამ თანხით 500 მოსაცდელი მოაწყვეს, მაშინ როცა არსებობს წყლის, გაზიფიკაციის და მრიცხველების პრობლემები.

"ქრისტიან-დემოკრატებს" მიაჩნიათ, რომ სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხების გახარჯვა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უნდა მოხდეს და გადაწყვეტილება სოფელმა უნდა მიიღოს.

"ქრისტიან-დემოკრატები" საშემოდგომო სესიაზე წყლის ექსპორტზე მომუშავე საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების საკითხსაც დასვამენ.

### ლორთქიფანიძე პოლიეთილენის პარკების წინააღმდეგ

გარემოს დაცვას ისახავს მიზნად დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძის მიერ გუშინვე გაჟღერებული ინიციტივა პოლიეთილენის პარკებზე ფასის დაწესების შესახებ. მისი ინიციატივით, პოლიეთილენის პარკები, რომელშიც მომხმარებელი თანხას არ იხდის, შესაძლოა, ფასიანი გახდეს და მისი ღირებულება, არც მეტი, არც ნაკლები, 20 თეთრით განისაზღვროს. პარკებზე ფასის დადებას სავაჭრო ობიექტებს კანონი დაავალდებულებს. დიმიტრი ლორთქიფანიძე შესაბამისი კანონპროექტის მომზადებას "რეგიონულ კავკასიურ გარემოსდაცვით ცენტრთან" ერთად გეგმავს. ამ მხრივ იგი ირლანდიაში დანერგილი მექანიზმის გადმოღების ინიციატივით გამოდის. პარკის ფასი იქნება არა პარკების თვითღირებულების ან საბაზრო ღირებულების შესაბამისი, არამედ მისი გამოყენების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ადეკვატური. ლორთქიფანიძის თქმით, იგი ამ მიმართულებით სხვა ქვეყნების პრაქტიკასაც სწავლობს და პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით უახლოეს მომავალში მიმართავს.

### "ლუსტრაცია" პარლამენტისთვის

საშემოდგმო სესიის პირველივე ბიუროს სხდომაზე გაჟღერდა კიდევ ერთი ოპოზიციური ინიციატივა, რომელიც ლუსტრაციის კანონის მიღებას გულისხმობს. საპარლამენტო მაგიდაზე უკვე დევს გია თორთლაძის შესაბამისი კანონოპროექტი "ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების, "კომუნისტური პარტიისა" და "ლენინური კომკავშირის" მაღალი თანამდებობის პირების რეგისტრაციის, ნებაყოფლობითი აღიარებისა და რეესტრის წარმოების შესახებ". კანონპროექტით დგინდება იმ თანამდებობების ნუსხა, რომლებზეც გავრცელდება შეზღუდვები. ამ თანამდებობებზე იკრძალება იმ პირთა დანიშვნა, რომლებიც იყვნენ ყოფილი სსრკ-ს სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლები; სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცრები; "კომუნისტური პარტიის" და "კომკავშირის" ცენტრალური კომიტეტის წევრები და რაიონული კომიტეტის მდივნები, აგრეთვე საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. არჩევითი თანამდებობებისთვის, ნაცვლად აკრძალვისა, დაწესებულია კანდიდატების შესახებ მონაცემების სავალდებულო გამოქვეყნება.

გარდა ამისა, ამ კანონით დადგენილი მიზნებისთვის, კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ქმნის სახელმწიფო კომისიას, რომელშიც თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს.

ასევე, კანონპროექტით შემოდის ახალი ინსტიტუტი - სპეცსამსახურის საიდუმლო თანამშრომლის ნებაყოფლობითი აღიარება. კერძოდ, ის პირები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ სპეცსამსახურებთან, მოვალენი არიან, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში წერილობით მიმართონ კომისიას და გადასცენ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი სპეცსამსახურში მათი საქმიანობის, აგრეთვე სპეცსამსახურის საქმიანობის შესახებ.

### ტესტი უმრავლესობისთვის

საგაზაფხულო სესიაზე ოპოზიციონერი გიორგი ცაგარეიშვილი უმრავლესობისთვის "დემოკრატიულ განზრახულობაზე" ტესტის შეთავაზებას აპირებდა და საქართველოს პარლამენტში ამ მიზნით სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიცირებაც მოახდინა. როგორც დღეს ცაგარეიშვილი ამბობს, მას შემდეგ ცნობილი მოვლენები განვითარდა და ვერც პარლამენტმა და ვერც თავად ოპოზიციონერმა დეპუტატმა აღნიშნული ინიციატივის განხილვისთვის ვეღარ მოიცალეს. ცაგარეიშვილი ამბობს, რომ არ არის გამორიცხული, საკანონმდებლო ორგანოში საშემოდგომო სესიაზე ამ თემის აქტუალიზება კვლავ სცადოს. ცვლილებები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს - არასრულწლოვანთა დანაშაულისადმი, ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისადმი (მათ შორის მედიის თავისუფლების წინააღმდეგ), ნარკოდანაშაულისადმი მიდგომებში ცვლილებას გულისხმობს.

### იდეები სოციალური დაცვისა და ბიზნესის განვითარებისთვის

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელ გურამ ჩახვაძეს საკუთარი ინიციტივებისთვის ჯერჯერობით კანონპროექტის სახე არ მიუცია. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობასთან კონსულტაციები ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, დეპუტატი დანებებას არ აპირებს და სოციალური სფეროს საკითხებში სიახლეების ლობირებას საშემოდგომო სესიაზეც შეეცდება.

ინიციატივები კი დაზღვევის სფეროს ეხება და ჯანდაცვისა და საპენსიო ორსაფეხურიანი დაზღვევის სიტემის შემოღებას გულისხმობს. იდეა გერმანულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული და პირველ დონეზე სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის შემოღებას ითვალისწინებს, საპენსიო დაზღვევაში კი - სავალდებულო დაგროვებითი სისტემის შემოღებას. მარტივად რომ ვთქვათ, ამ ინიცტივის თანახმად, დასაქმებული ადამიანების მიერ გადახდილი გადასახადების ნაწილი პირდაპირ უნდა მიიმართოს დაზღვევისთვის, რაც მოსახლეობის უმრავლესობის ჯანდაცვის და სოციალურ გარანტიებს შექმნის. თუმცა, ამ პრინციპების ირგვლივ შეთანხმება, ცხადია, ვერ ხერხდება - ის საქართველოში დეკლარირებულ სადაზღვევო რეფორმის პრინციპებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ასევე, გურამ ჩახვაძე, "ქრისტიან-დემოკრატებთან" ერთად, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის ლობირებას ცდილობს და მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად სპეციალური ინსტიტუციის შემოღებისთვისაც ზრუნავს, ეს უკანასკნელი გულისხმობს აშშ-ში არსებული მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ანალოგიური სახელმწიფო სამსახურის შექმნას, რომელიც არა მხოლოდ მოქმედ, არამედ დამწყებ ბიზნესმენებსაც იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს, დაეხმარება კრედიტის აღებაში და მისცემს საშუალებას, იმუშაოს ე.წ. ბიზნეს-ინკუბატორებში.

---

# ევროპამ რუსეთს წამზომი ჩაურთო

პირველი გვერდიდან

გენადი სლუცკის თქმით, **"მოხსენების პირველი ანუ რადიკალური ვარიანტი არ გავიდა. აქ არის მოწოდებები მოსკოვის მიმართ, მაგრამ გარიცხვის შესახებ საუბარი ჯერ არ არის. ხმების უმრავლესობა მეორე ვერსიამ დაიმსახურა. კომიტეტს სულ მალე შევთავაზებთ მესამე ვარიანტს, რომელიც რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების გადახედვას არ ითვალისწინებს."** გადაწყვეტილებით კმაყოფილება გამოთქვა ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა. **"ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთს მოქმედებისთვის პირველად განესაზღვრა კონკრეტული ვადა. ერთი წლის წინათ ამისთვის მზაობა არ იყო,"** - განმარტა მან. როგორც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა ლალიაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, **"ჩვენ გვაქვს იმედი, რომ საქართველოს პარტნიორები იმავე კატეგორიულ და მკაცრ პოზიციას დაიკავებენ, როგორიც აქამდე ჰქონდათ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ."** ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის შეფასებით, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთ-საქართველოს საკითხზე მიღებული დოკუმენტები რუსეთის დიპლომატიისთვის სახეში სილის გაწვნაა და საბოლოო შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

## მიხეილ სააკაშვილი: "საქართველოში დღეს მშენებლობის და ბიზნესის დაწყება ძალიან ადვილია"

სოფო ჩიხლაძე

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართული ეკონომიკის განვითარების ეტაპები თელავში შეკრებილ მოსახლეობას სატრანსპორტო საშუალებების მაგალითზე წარმოუდგინა. მანამდე კი პრეზიდენტი თელავში სამთავრობო პროგრამის - "ანგარიში ხალხს" - გახსნას დაესწრო. მიხეილ სააკაშვილმა ხალხთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ბიზნესის განვითარება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველომ, "Doing Business 2010"-ის მონაცემებით, ბიზნესსაქმიანობის სიმარტივის თვალსაზრისით, წინა წელთან შედარებით, ხუთი საფეხურით წინ წაიწია და მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლა. პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასებით, **"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ბიზნების კეთების თვალსაზრისით მსოფლიო 200 ქვეყანაში მე-11 ადგილზეა. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავედით. ჩვენზე ბევრად ქვემოთ არიან იტალია, ჰოლანდია, ავსტრია და სხვები. ამას არ ვამბობ სატრაბახოდ, ვიცი, რომ ჯერ არც ერთი ჩვენგანი არ ცხოვრობს ავსტრალიელივით, შვეიცარიელივით, ამერიკელივით, მაგრამ მთავრობას შეუძლია, ბიზნესს ხელი არ შეუშალოს და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ, რომ საქართველოში საქმე გართულდა, ძნელია ბიზნესის კეთება, ფაქტი სახეზეა. ეს კვლევა მსოფლიო ბანკმა ჩაატარა, რომელიც ჩვენი ლობისტი ნამდვილად არ არის. სწორედ მას მიაჩნია, რომ დღეს მხოლოდ მსოფლიოს ათ ქვეყანაშია შესაძლებელი საქართველოსთან შედარებით ცოტა უფრო ადვილად ბიზნესის კეთება და 189 ქვეყანაში კი უფრო ძნელად."**

ქვეყნის პირველმა პირმა განმარტა, რომ მთავრობამ შეძლო ყველაზე მთავარი დაპირების შესრულება - უკეთესი მომავლისთვის პერსპექტივა შექმნა და საკუთარ ხალხს მისი გამოყენების შანსი მისცა. **"საქართველოში დღეს მშენებლობის და ბიზნესის დაწყება ძალიან ადვილია. კრედიტის მიღებაც უფრო მარტივი გახდება. ეს ნიშნავს, რომ გვიჩნდება შანსი, ვიცხოვროთ უკეთესად. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ. ახლა უკვე ბიზნესის საქმეა, შექმნას ჩვენთვის უკეთესი ცხოვრება. მინდა, შედარება გავაკეთო: ბიზნესის კეთების თვალსაზრისით ადრე ურემში ვისხედით, მერე "ზაპოროჟეცში", გავატარეთ რეფორმები და გადავსხედით "ვოლგაში", შემდეგ "ოპელში", ახლა კი გვაქვს შანში, გადავსხდეთ "მერსედესის" კაბრიოლეტში"... ანუ ერთი ძველი ურემი ვიყავით და ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მსოფლიო ბანკის რეიტინგში 137 ადგილი გვეკავა, დაახლოებით იმ ვითარებაში ვიყავით, როგორშიც დღეს რუსეთია. იქ ყველაფერში ქრთამი უნდა გადაიხადო, პოლიციელს შეუძლია ბიზნესი წაგართვას, იქ საკუთრების უფლება არ არის დაცული და ყველა ფეხის ნაბიჯზე კორუფციასა და ძალადობას აქვს ადგილი... პირველ ხუთეულში რომ შევალთ, და ეს აუცილებლად მოხდება, შესაძლებლობების თვალსაზრისით შეიძლება ამერიკასაც კი გავუსწროთ. როცა ყველას გავუსწრებთ, მერე უკვე "პორშესა" და "ფერარში" გადავსხდებით, რომლებიც მე არ ვიცი, როგორი მანქანებია - მათში არასდროს ვმჯდარვარ,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, შესაძლებელია ქართული ბიზნესი უფრო მეტად"ურმის" და "ზაპოროჟეცის" მართვას არის შეჩვეული და ძველებურად საქმის კეთება უფრო უადვილდება, მაგრამ ამით შორს ვერ წავა. ამიტომ პრეზიდენტმა ქართველ ბიზნესმენებს მოუწოდა, ახალი შესაძლებლობები გამოიყენონ და "მერსედესის" ტარებას დაეუფლონ, რათა უფრო წარმატებული მომავალი გვქონდეს.

## ჰუმანიტარული წარმატება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ასამბლეის პლენარულ სხდომაზე შექმნილ ვითარებას, №63/79 რეზოლუციის მიღებამდე, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, სიტყვით გამოვიდნენ გაერო-ში როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მისიების ხელმძღვანელები. საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში კახა ლომაიამ კენჭისყრამდე ქვეყნებს რეზოლუციის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. **"ადამიანებს განუწყვეტლივ უწევთ ცხოვრება საშიშ გარემოსა და სიღარიბეში. ისინი ყოველდღიურად დგანან გამოძევების, იძულებითი პასპორტიზაციის, ეთნიკური წარმომავლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. მათ ასევე აიძულებენ, უარი თქვან მშობლიურ ქართულ ენაზე განათლების მიღებაზე. 2008 წლის მაისში მიღებული რეზოლუციის შემდეგ დრამატული მოვლენები მოხდა, აგვისტოში შეიარაღებულმა კონფლიქტმა 100 ათასი ადამიანი იძულებული გახადა, საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა. ამ კონფლიქტს ასობით მშვიდობიანი ადგილობრივი მცხოვრების სიცოცხლე შეეწირა. ასე რომ, ჩემს თანამემამულეთა იძულებით გადაადგილების ტრაგედიის ისტორიას კიდევ ერთი ფურცელი დაემატა,"** - განაცხადა კახა ლომაიამ. მისი გამოსვლის შემდეგ სიტყვა ითხოვა გაერო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა. მან რეზოლუციის კენჭისყრიდან მოხსნა მოითხოვა, თუმცა მისმა წინადადებამ კენჭისყრაზე საჭირო რაოდენობის ხმა ვერ მიიღო, მას მხოლოდ 29 ქვეყანამ დაუჭირა მხარი, 64 კი შეეწინააღმდეგა. ამის შემდეგ ჩურკინმა გაერო-ს წევრი რამდენიმე ქვეყნის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა, თუმცა ამჯერად სხვა თემის გამო. **"სწორედ ის ქვეყნები დაუპირისპირდნენ რუსეთის პოზიციას, რომელთა პოლიტიზებულმა მიდგომამ, ფაქტობრივად, დაბლოკა აფხაზეთში გაერო-ს მისიის მოქმედება. ისინი ოსებს და აფხაზებს საშუალებას არ აძლევენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას სიმართლე გააგებინონ,"** - განაცხადა ჩურკინმა.

ნიუ-იორკში რეზოლუციის კენჭისყრის დაწყებამდე, რუსეთის მოქმედების სტილის შესახებ ისაუბრა თელავში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გენერალურ ასამბლეაზე რუსეთი ამა თუ იმ საკითხს ვეტოთი ვერ დაბლოკავს, ეს ქვეყანა საქართველოს ინიციატივისთვის ხელის შესაშლელად სხვადასხვა მეთოდებს გამოიყენებს. **"რუსეთი ხელებს უგრეხს ყველას და უბრალოდ პირდაპირ შანტაჟზე გადავიდა. ზოგ ქვეყანას ფინანსურ მხარდაჭერას ჰპირდებოდა, ოღონდ ხელი არ მოეწერათ რეზოლუციისთვის. რამდენიმეს პირდაპირ უთხრეს - როგორც კი ამას მისცემთ ხმას, რუსეთიდან აღარაფრის იმედი არ უნდა გქონდეთო. ამდენი ხელის გრეხვის შემდეგ რეზოლუციის დამტკიცება ნიშნავს, რომ მათ თავიანთი იარაღი დაუჟანგდათ. ჯერ საბჭოთა კავშირი და შემდეგ კი რუსეთი ყოველთვის დაშინებით იცავდა თავის პოზიციებს და ასე გაჰქონდა. დღეს შექმნილი ვითარება რუსეთისთვის ყელის გამოჭრაა. ნათელია, რომ ყველა მათ ქმედებას, კერძოდ - ლტოლვილების საკუთრების კონფისკაციას, ხალხის არშეშვებას, ყველაზე დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია უკანონოდ აცხადებს. თუ სამართალმა პური ჭამა, ე.ი. გაერო მთლად უიმედო ორგანიზაცია არ არის,"** - აღნიშნა სააკაშვილმა.

გაერო-ში განვითარებული პროცესების შესახებ "24 საათს" ესაუბრა "მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" დირექტორი დავით აფრასიძე. მისი თქმით, **"რეზოლუციის მიღება კიდევ ერთი ნაბიჯია იმათგან, რომლებიც საერთოდ მთელ დიპლომატიურ პროცედურებში უნდა გადაიდგას, რაც ძალიან გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამავდროულად არანაირი ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ გადაწყვეტილებას რამე მოჰყვება. მაგრამ, მაინც მისასალმებელია გადაწყვეტილების მიღება ჩვენს სასარგებლოდ."** აფრასიძემ რუსეთის პოზიციის შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, შეიძლება ორი შეფასება გაკეთდეს: **"ერთი მხრივ, რუსეთი, ცხადია, არ იქნება ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი, რადგან კიდევ ერთხელ დადასტურდება გამყოფი ხაზი - ცალკე საერთაშორისო თანამეგობრობა და ცალკე - რუსეთი. და მეორე: ამ გადაწყვეტილების გამო რუსეთი ძალიან არ ნაღვლობს და პირიქით, ხანდახან მოსწონს კიდეც, როცა მთელ მსოფლიოს უპირისპირდება."** რაც შეეხება რეზოლუციის სპეციფიკას, რეზოლუციაში ჰუმანიტარული საკითხებისთვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, აფრასიძეს არ სჯერა, რომ დოკუმენტი მყისიერ შედეგს მოიტანს. **"ამ შემთხვევაში მიზან-შედეგობრიობა უკუღმაა. პოლიტიკური პროცესებია წამყვანი და, რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, ჰუმანიტარული საკითხები არ არის პრიორიტეტული. აქ არის ძალიან დიდი გეოსტრატეგიული დაპირისპირება, მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ინტერესები, ხოლო ამ ყველაფერს ჩვენი მოქალაქეები ეწირებიან. სხვათა შორის, საერთაშორისო თანამეგობრობას ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომები აქვს დაშვებული, როდესაც მიაჩნდა, რომ ჰუმანიტარულ საკითხებზე მოლაპარაკებებით ამ კონფლიქტებში რამე გარღვევა იქნებოდა. უნდა ითქვას, რომ ამ კონფლიქტის სტრუქტურული პრობლემა პოლიტიკურია, კერძოდ: რუსეთის ხედვები რეგიონთან მიმართებაში. ასევე, ვიდრე აქ არ შეიცვლება ძალთა ბალანსი, არა მგონია, პატარ-პატარა საკითხებმა პრობლემა გადაწყვიტოს,"** - განმარტავს აფრასიძე. თუმცა იგი აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი მაინც წარმატებაა. მისი მტკიცებით, **"ყოველივე ამის მიზანია წვეთ-წვეთად შორეული პერსპექტივის მომზადება, როდესაც რუსეთს მოუწევს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, უბრალოდ საღი აზრისთვის, ანგარიშის გაწევა. უხეშად რომ ვთქვათ, ვიდრე ძალის კალკულაციით სტრუქტურული ცვლილებები არ მოხდება, მანამდე, ვფიქრობ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რაღაცრაღაცები სასურველია, მაგრამ შეუძლებელი."**

### რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური "აფხაზეთის საზღვაო საზღვრების" დასაცავად დამატებით ძალებს გამოყოფს

რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა ვლადიმერ პრონიჩევმა დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველო დამატებით ძალებს გამოყოფს "აფხაზეთის საზღვაო საზღვრების" დასაცავად.

ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის შეფასებით, რუსეთი იმპერიული ქვეყანაა და, შესაბამისად, მისი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ინიციატივა რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, ახალს არაფერს შეიცავს.

როგორც დარჩიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც საზღვრების რევიზიას ცდილობს. მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივა საერთაშორისო სამართლის დონეზე დანაშაულია და ამ ქვეყნის მიერ დანაშაულის ჩადენის უამრავი მაგალითი არსებობს.

შესაბამისად, დარჩიაშვილს მიაჩნია, რომ ამ უკანონობის დასაკანონებლად მოგონილი მექანიზმები კიდევ ერთხელ აუხელს თვალს იმ ქვეყნებს, რომლებიც რუსეთის დანაშაულებრივ ქმედებებს არ აღიარებენ. **საკუთარი ინფორმაცია**

### კონსტანტინე გამსახურდია გადაწყვეტილებას სექტემბრის ბოლომდე მიიღებს

პარტია "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში დაბრუნების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბერის ბოლომდე მიიღებს.

ამის შესახებ "პირველს" პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განუცხადა და აქვე აღნიშნა, რომ "კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში დაბრუნების საკითხზე მსჯელობისთვის პარტიის პოლიტიკური საბჭო უახლოეს დღეებში შეიკრიბება, საბოლოო გადაწყვეტილება კი მიმდინარე თვის ბოლომდე აუცილებლად იქნება მიღებული". **პირველი**

### ისრაელის მედია ამტკიცებს, რომ ქვეყნის პრემიერი საიდუმლო ვიზიტით რუსეთში იმყოფებოდა

ისრაელის ერთ-ერთი გაზეთი "პოსლედნიე იზვესტია" ამტკიცებს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ ამ კვირას საიდუმლო ვიზიტით რუსეთში იმყოფებოდა.

თავის მხრივ, ირაელის მთავრობის მეთაურის კანცელარია ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ნეთანიაჰუს ამ დროს ისრაელის ფარგლები არ დაუტოვებია.

გაზეთის მტკიცებით, რომელიც სანდო წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა, ისრაელის პრემიერმა მოსკოვში სულ რამდენიმე საათი გაატარა და ეს დრო რუსეთისა და ირანის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის პრობლემატიკის განხილვას მიუძღვნა.

საინტერესოა, რომ ორშაბათს ჟურნალისტებმა ნეთანიაჰუ ათი საათით თვალთახედვიდან დაკარგეს. მოგვიანებით კი კანცელარიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ნეთანიაჰუ ისრაელის საიდუმლო სამხედრო ობიექტზე იმყოფებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### უგო ჩავესი მოსკოვში ჩადის

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი მოსკოვში ჩადის. ვიზიტი ორდღიანია. რუსული მედია სანდო წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ვენესუელის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტისას იარაღის შესახებ ახალ კონტრაქტებს მოეწერება ხელი. თუმცა, იქვე დასძენენ, რომ კრემლი ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ვენესუელის პრეზიდენტის ვიზიტის დროს მხოლოდ ნავთობისა და გაზის სფეროში ხელშეკრულებების გაფორმებაზე იქნება საუბარი.

რუსეთში ვენესუელის პრეზიდენტის ვიზიტის პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. უგო ჩავესმა თავად განაცხადა, რომ იგი რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან და პრემიერ პუტინთან ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო-ტექნიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის საკითხებს განიხილავს. კერძოდ, ჩავესი იმედოვნებს მოლაპარაკებების გამართვას მშვიდობიანი ატომის გამოყენების საკითხზე.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, კონკრეტულიად რა ხელშეკრულებებს მოეწერება ხელი ვენესუელის პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტისას. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ლეიბორისტები" "ბილაინს" მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტია" კომპანია "ბილაინს" მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნაში ადანაშაულებს. საქმე ეხება თემქის ტერიტორიაზე დამონტაჟებულ ანძებს, რომლებიც, პარტიის წარმომადგენელ პაატა ჯიბლაძის მტკიცებით, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს.

ამ საკითხზე შრომის პარტიის წარმომადგენელმა გუშინ თემქაზე გამართა პრესკონფერენცია. "ანძები, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს, აქ მოტყუებით დაამონტაჟეს, რაც ადგილობრივთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. მიშას კუთვნილი "ბილაინი" არ ფიქრობს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე," - განაცხადა ჯიბლაძემ. "ლეიბორისტები" ანძების სასწრაფო დემონტაჟს მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას და ხელისუფლებას "ანტენების რევოლუციით" ემუქრებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურის უფროსი დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საგარეჯოს ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურის უფროსი ნიკო შაქარაშვილი დააკავეს. როგორც "პირველს" რადიო "ჰერეთიდან" აცნობეს, შაქარაშვილის დაკავება გუშინწინ საღამოს, მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში განხორციელდა. გავრცელებული ინფორმაციით, შაქარაშვილი წუხელვე "მოდულის" შენობაში გადაიყვანეს, სადაც მას გულის შეტევა მოუვიდა. დაკავების მოტივი ამ დრომდე უცნობია. **პირველი**

## ხვიჩიას ქუჩაზე თავდასხმა მოხდა

დაჭრილია 31 წლის ალექსანდრე მეტრეველი, რომელსაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. არსებული ინფორმაციით, მას ჯერჯერობით დაუდგენელი პირები თავს საკუთარი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან დაესხნენ. მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პროკურატურამ ქუთაისის საპყრობილეში მომხდარი მოვლენების შესწავლა დაიწყო

ქუთაისის N2 საპყრობილეში არასრულწლოვან პატიმრებთან სასტიკი მოპყრობის ფაქტის გამო, ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით გამოძიება დაიწყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 2009 წლის 15 ივლისს მიმართა. ომბუდსმენის განმარტებით, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქუთაისის N2 საპყრობილეში უხეშად დაირღვა არასრულწლოვანთა უფლებები, რაც გამოიხატება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვანთა ცემაში, წამებაში, დამამცირებელ და ღირსების შემლახველ მოპყრობაში. **მედიანიუსი**

## მოსკოვში ძარცვაში ეჭვმიტანილი ქართველები დააკავეს

მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, ორი შეიარაღებული თავს დაესხა ბიზნესმენს და 500 ათასი რუბლით სავსე ჩანთა გაიტაცა. ეჭვმიტანილებმა BMW-ს მარკის მანქანით მიმალვა სცადეს, თუმცა ისინი სამართალდამცველებმა დაიჭირეს.

გამოძიების ცნობით, ორივე ეჭვმიტანილი წარმოშობით ქართველია, თუმცა მათი ვინაობა არ ხმაურდება. დაკავებისას ერთ-ერთი მათგანი დაიჭრა. ის უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს, მეორე კი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. ოპერატიული ინფორმაციით, მანქანა, რომლითაც მძარცველები მიმალვას ცდილობდნენ, ასევე ქართველს ეკუთვნის, რომელიც დანაშაულის ადგილზე არ იმყოფებოდა. **პირველი**

## ტერორისტები მოსკოვში აფეთქებას "შაჰიდის ბოტასებით" ცდილობდნენ

მოსკოვში სამართალდამცველებმა ორი დიდი ტერაქტის მცდელობა აღკვეთეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტი თვითმკვლელები თავიანთი მიზნის მისაღწევად ახალი "ტექნოლოგიის" გამოყენებით ცდილობდნენ - ტრადიციული შაჰიდის სარტყლის ნაცვლად, "შაჰიდის ბოტასების" გამოყენებას აპირებდნენ.

როგორც "კომერსანტი" იტყობინება, ერთ-ერთ ტერორისტს აფეთქება მოსკოვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დროს უნდა მოეწყო, ხოლო მეორე მომდევნო დღეს.

სახელდება ტერორისტების ვინაობაც, რომლებიც ნათესავები არიან. ესენია 29 წლის ბეკჰან ოსპანოვი და 30 წლის ისლავ ბატაევი. ტერორისტებს ასაფეთქებელი მოწყობილობა სპორტული ტიპის ფეხსაცმელში ჰქონდათ დამონტაჟებული. **ჯი-ეიჩ-ენი**



## განცხადება

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- დერმატოლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი

**მოთხოვნები:**

- სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
- პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე

მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ N20

ტელ: 91 31 19; 91 32 42


# "საოჯახო სამართალი" კანონის ჩარჩოში

### "გააფორმეთ საქორწინო ხელშეკრულება და აიცილეთ უსიამოვნო წუთები"

*საზოგადოებისთვის ყოველთვის აქტუალური და საინტერესოა ისეთი სამართლებრივი საკითხი, როგორიცაა მეუღლეების ქონებრივი უფლება-მოვალეობები, მათ შორის - განქორწინების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, "ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში". ქართული კანონმდებლობით, საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, დაიშვება თექვსმეტი წლის ასაკიდან ქორწინება, მხოლოდ მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. სწორედ, მას შემდეგ, რაც მოხდება ქორწინების ოფიციალური რეგისტრირება, ამოქმედდება "საოჯახო სამართალი", რომლის თითოეული დეტალი კანონით არის დარეგულირებული და დაცული. რასაც ვერ ვიტყვით, საქართველოში ფართოდ გავრცელებულ არარეგისტრირებულ ქორწინებაზე, რის გამოც, კონფლიქტის შემთხვევაში, დაზარალებული მეუღლის ინტერესების დაცვა შეუძლებელი ხდება. "საოჯახო სამართალზე" და ბოლო დროს მასში შეტანილ სიახლეებზე გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ირაკლი ყანდაშვილი, რომელიც საკანონმდებლო სიახლეების ერთ-ერთი ავტორიცაა.*

თამარ კაციტაძე

**- რა სახის ქონებრივი უფლებები გააჩნიათ საქართველოში ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება განურჩევლად იმისა თუ რომელმა მეუღლემ შეიძინა იგი, წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ კუთხით საინტერესოა ის დებულება, რომლითაც, ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ის ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნოდა ქორწინებამდე, ან ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიიღო რომელიმე მათგანმა მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ასევე წარმოადგენს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას და მასზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება, თუმცა აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა.

**- ქართული სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეები დავობენ ქონებაზე, რომელიც, მართალია, თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე იყო რეგისტირებული.**

- გეთანხმებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეები ქორწინების პერიოდში იძენენ საკუთრებას, მაგალითად, უძრავ ქონებას - სახლს, ასეთ შემთხევევაში საოჯახო სამართლის მიზნებისთვის ასეთი ქონება ითვლება თანასაკუთრებად. თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს სახლს საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთი მეუღლე იფორმებს და საკუთრების უფლება რეგისტრირდება მხოლოდ ერთ მეუღლეზე, რომელიც შემდეგ ამ ქონებას ასხვისებს, რითაც მეორე მეუღლე ზარალდება. ამ შემთხვევაში დაზარალებული ვერაფერს იზამს. შესაბამისად, რჩევის სახით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება მეუღლეებმა დაირეგისტრირონ საერთო საკუთრებად, რათა აირიდონ შესაძლო პრობლემები.

**- ბატონო ირაკლი, თქვენ ახსენეთ საქორწინო ხელშეკრულება, ამ ახალ ინსტიტუტზეც ვისაუბროთ.**

- საქორწინო ხელშეკრულება მეტად პრაქტიკული ინსტიტუტია, კარგად აპრობირებული და დანერგილი ევროპულ სახელმწიფოებში, მას იცნობს ჩვენი კანონმდებლობაც. მეუღლეებს მისი გაფორმება შეუძლიათ, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების განმავლობაში ნებისმიერ დროს. აღსანიშნავია, რომ საქორწინო ხელშეკრულება საჭიროებს აუცილებელ სანოტარო დამოწმებას. მსგავსი ხელშეკრულებით შეიძლება მეუღლეებმა გაითვალისწინონ მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას. უფრო კონრეტულად რომ ვთქვათ, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება წინასწარ განსაზღვრონ, ვის რა ქონება ერგება განქორწინებისას, ან ქორწინების განმავლობაში, რომელი ქონება რომელი მეუღლის განკარგულებაში იქნება და ა.შ. ამასთანავე, მსგავსი ხელშეკრულებით შესაძლოა მეუღლეებმა ამა თუ იმ სახის ინდივიდუალურ ქონებას თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი მიაკუთვნონ ან პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ უცხოური პრაქტიკისაგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტი საქართველოში ამ ეტაპისთვის არ არის ფართოდ გამოყენებული. არადა, მისი გამოყენება მეუღლეებს იმ უსიამოვნო წუთს აარიდებდა, რომელსაც ისინი განქორწინებისას სასამართლოში საჯაროდ განიცდიან.

**- ბატონო ირაკლი, მივადექით იმ არასასიამოვნო თემას, როგორიცაა განქორწინება, იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, თუ რა ფორმით ხდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად განქორწინება?**

- განქორწინება ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია. განქორწინების ორი გზა არსებობს, ერთი და ყველაზე მარტივი ეს არის სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოში განქორწინება, როდესაც მეუღლეებს არ აქვთ ერთმანეთში დავა და ისინი ერთობლივი განცხადებით მიმართავენ ტერიტორიულ სამსახურს. მეორე შემთხვევისას, მხარეებს შორის არსებული დავის შემთხვევაში. ეს შეიძლება იყოს, მეუღლეებს შორის პირადი დავა, როგორიცაა მაგალითად, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნები, ასევე, ქონებრივი დავა, თანასაკუთრების გაყოფასთან დაკავშირებით ან არასრულწლოვანი შვილისთვის ალიმენტის დანიშვნის თაობაზე დავა, ამ შემთხვევაში მეუღლეები მიმართავენ სასამართლოს განქორწინებისათვის.

განქორწინება სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში ერთობლივი განცხადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ფორმდება. შეიძლება მკითხველისთვის ისიც იყოს საინტერესო, რომ განქორწინება დასაშვებია ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზეც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში თუ მეორე მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზოუკვლოდ დაკარგულად, ან სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუუნაროა და ან სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისთვის, რომელიც სასჯელად ითვალისწინებს პატიმრობას არანაკლებ სამი წლისა. აღსანიშნავია, რომ ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე მოითხოვოს განქორწინება ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

# საჯარო რეესტრმა თელავის მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა

*თელავში გამართულ აქციაში "ანგარიში ხალხს" გუშინ სხვა უწყებებთან ერთად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომაც მიიღო მონაწილეობა.*

სააგენტომ მოსახლეობას ანგარიში იმ ძირითად მიღწევებსა და სიახლეებთან დაკავშირებით ჩააბარა, რაც რეესტრში წლების განმავლობაში განხორციელდა.

თელავის მოსახლეობას კონსულტაციები გაუწიეს საჯარო რეესტრის თავმჯდომარე სოსო წიქარიშვილმა და სააგენტოს იურისტებმა. მოქალაქეთა შეკითხვები ძირითადად საჯარო რეესტრის სერვისებს შეეხებოდა. მოქალაქეებს უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გარკვევა და სარეგისტრაციო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტაცია აინტერესებდათ.

აქციის ფარგლებში მოსახლეობას გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისების შესახებ დამზადებული სპეციალური ფლაერები, ჟურნალები და სხვა საინფორმაციო ბარათები.

ღონისძიების მიმდინარეობის პერიოდში, დამონტაჟებული სპეციალური ტექნიკის საშუალებით მოქალაქეებს შეეძლოთ ელექტრონულად მიეღოთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ამონაწერი და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.

მოქალაქეებს ნებისმიერ დროს იგივე ინფორმაციის მიღება შეუძლიათ აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით www.reestri.gov.ge

აქცია - "მთავრობის ანგარიში ხალხს" უახლოეს დღეებში დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "კომუნისტების" მორიგი მარცხი მოლდოვაში

ივა შილაკაძე

გუშინწინ გვიან ღამით მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა "კომპარტიის" სარჩელი პარლამენტის სპიკერად "ლიბერალური პარტიის" ლიდერ მიხაი გიმპუს არჩევის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს 6 მოსამართლის ხმა შუაზე გაიყო, გადაწყვეტილების მიღება არ მოხდა და მიხაი გიმპუ ავტომატურად მიიჩნევა კანონიერად არჩეულ სპიკერად. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ვორონინი ოფიციალურად გადადგება (ამ გადაწყვეტილების მიღების უკანასკნელი ვადა 14 სექტემბერია), გიმპუ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხდება. იგი პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დასახელებას შეძლებს, მმართველ კოალიციას აქვს მთავრობის ფორმირების უფლება. ამჟამად მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ზინაიდა გრეჩანაიამაც, პრეზიდენტ ვორონინის მსგავსად, განაცხადა, რომ თანამდებობიდან გადადგება და პარლამენტის დეპუტატად გააგრძელებს მუშაობას.

"კომპარტიის" წარმომადგენელმა, დეპუტატმა ვლადიმირ ცურკანმა აღნიშნა, რომ "კომპარტია" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება და პარლამენტში დაბრუნდება, თუმცა გააგრძელებს ბრძოლას მემარცხენე ცენტრისტული კოალიციის შესაქმნელად. მან დაამატა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაფერი გაირკვა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება. ანუ "კომუნისტები" ისევ ეჭიდებიან ეფემერულ შანსებს.

მმართველი კოალიციის წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონის ტრიუმფი და ისტორიული მოვლენა უწოდეს. "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ვლად ფილატმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ეროვნული ინტერესი ერთი კონკრეტული პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენეს. იურისტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს სარჩელი, წესით, საკონსტიტუციო სასამართლოს არც უნდა მიეღო განსახილველად, მაგრამ კარგია, რომ გადაწყვეტილება მაინც სამართლიანი გამოდგა.

დღეს გაიმართება პარლამენტის პლენარული სხდომა, რომელზეც პარლამენტის მმართველი ორგანოების ფორმირება გაგრძელდება. კოალიციამ "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" "კომუნისტებს" პარლამენტის სხდომაზე დაბრუნებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ თანამშრომლობისკენ მოუწოდა. "კომუნისტებს" სთავაზობენ ორი ვიცე-სპიკერიდან ერთის ადგილს და ცხრა მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის პოსტებიდან ოთხს. დანარჩენი ხუთი კომისიის ხელმძღვანელთა თანამდებობიდან, სავარაუდოდ, ორს "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელი დაიკავებს, თითო-თითო კომისიას კი "ლიბერალური პარტიის", "დემოკრატიული პარტიისა" და ალიანს "ჩვენი მოლდოვის" წარმომადგენლები უხელმძღვანელებენ.


მიხაი გიმპუ

ჯერჯერობით გაურკვეველია, საბოლოოდ რა ტაქტიკას აირჩევენ "კომუნისტები". ვაჭრობის საგანი ჯერ ბევრია და ორივე მხარეს აქვს ლავირების საშუალება. პრეზიდენტის არჩევას საერთო კონსენსუსი სჭირდება, ცალკე ამისთვის არც ერთ ძალას არ ჰყოფნის მანდატები. ორივე მხარეს ეტყობა, რომ კომპრომისზე წასვლას არ გამორიცხავენ, თუმცა არის რიგი პიროვნული შეუთავსებლობის მომენტებიც, რამაც შეიძლება, სიტუაცია გაართულოს. არაოფიციალური დაუდასტურებელი ინფორმაციით, "კომუნისტები" პრეზიდენტის არჩევაში "დახმარებისათვის" პარლამენტის სპიკერის პოსტს ითხოვენ, მმართველი კოალიცია ამაზე შეიძლება წავიდეს, ოღონდ სპიკერის პოსტზე "კომუნისტებმა" ვორონინი არ უნდა დაასახელონ. მეორე მხრივ, "კომუნისტებისთვის" სულ ერთი არ არის, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი. მმართველი კოალიცია "დემოკრატიული პარტიის" ლიდერ მარიან ლუპუს კანდიდატურის დასახელებას აპირებს. ეს კი "კომუნისტებისთვის" სიკვდილის ტოლფასია. ლუპუ მათთვის მოღალატეა. ის სულ ორიოდე თვის წინ წამოვიდა "კომპარტიიდან" და ოპოზიციის მხარეზე დადგა. მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში შეიძლება, "კომპარტიის" რიგითი წევრების და დეპუტატების გარკვეული ნაწილიც ყოფილი თანაპარტიელის მხარეზე გადავიდეს და "კომპარტია" დაშლის პირას აღმოჩნდეს. ყოფილი გაბატონებული ძალისთვის ფინანსური გარანტიების პრობლემაც ძალიან მწვავედ დგას. "კომუნისტების" ნაწილს ეშინია, რომ შეიძლება, მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. ვორონინის შვილი მსხვილი ბიზნესმენი და ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი პირია, ამ მდგომარეობის შენარჩუნებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

უკიდურესი ვარიანტია კომუნისტების გაჯიუტება და მათ მიერ პრეზიდენტის არჩევის დაბლოკვა, თუმცა გაურკვეველია, რას მოიგებენ ამით. ამ შემთხვევაში მომდევნო არჩევნები იანვარში დაინიშნება, იმ დროისთვის კი მმართველი კოალიცია პროკურატურისა და ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელებს გამოცვლის, ტელევიზიასა და საარჩევნო კომისიაზე კონტროლს მოიპოვებს, როგორც აღვნიშნეთ, დამნაშავე "კომუნისტების" სისხლის სამართლებრივი დევნაც არ არის გამორიცხული და ახალ არჩევნებში შედეგიც პოსტსაბჭოთა სივრცისთვის "კანონზომიერი" იქნება. მიმომხილველები ასეთ შემთხვევაში "კომუნისტებს", მაქსიმუმ, 35 პროცენტს უწინასწარმეტყველებენ, ისიც იმ პირობებში, თუ მმართველი კოალიცია მათ დაზოგავს. "კომუნისტებს" ალბათ ეყოფათ პრაგმატიზმი სიტუაციას შესაფასებლად და მცირე ვაჭრობის შემდეგ იმ წინადადებებზე დასათანხმებლად, რასაც მათ "ალიანსი ევროპული ინტეგრაციისთვის" სთავაზობს.

# დუმა პრეზიდენტს არმიის საზღვარგარეთ გამოყენების უფლებას აძლევს

მარიკა იაშვილი

საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებულმა რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მუშაობა თავდაცვის საკითხების განხილვით დაიწყო.

რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებმა პირველი მოსმენით განიხილეს ქვეყნის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ პარლამენტში შეტანილ ცვლილებები კანონში "თავდაცვის შესახებ."

შესაბამისი კანონპროექტი სახელმწიფო სათათბიროში მიმდინარე წლის აგვისტოში შევიდა. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები მას მხარს დაუჭერენ, პრეზინდეტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, მიიღებს უფლებას, რიგ შემთხვევებში არმია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ფედერაციის საბჭოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გაგზავნოს.

შესწორებების თანახმად, ასეთი აუცილებლობა იმ შეთხვევაში ჩნდება, როდესაც თავს ესხმიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ადრე დისლოცირებულ რუსულ სამხედრო შენაერთებს. ამასთანავე, პრეზიდენტი შეძლებს თავისი ახალი უფლების გამოყენებას საზღვარგარეთ მყოფი რუსეთის მოქალაქეების დასაცავად, მეკობრეებთან საბრძოლველად და საზღვაო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გარდა ამისა, სხვა ქვეყნებზე განხორციელებული აგრესიის აღსაკვეთად.

სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც პრეზიდენტი მოითხოვს, საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული. კონკრეტულად კი, კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ ბაბიჩი მომავალი ცვლილებების საფუძვლად ასახელებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას "აგრესიის აქტის განსაზღვრა", გაერო-ს კონვენციას "საზღვაო უფლებების შესახებ" და მსგავს სხვა საერთაშორისო დადგენილებებს.

ასეთი ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრეცედენტია ამერიკული კანონმდებლობა. 1973 წელს მიღებული კანონპროექტის თანახმად, აშშ-ს პრეზიდენტს უფლება აქვს, ერთპიროვნულად მიიღოს შეიარაღებული ძალების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგზავნის გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკაზე, ამერიკულ სამხედრო შენაერთებსა და ამერიკის მოქალაქეებზე თავდასხმის ან



მსგავსი საშიშროება გაჩნდება. თუმცა ამ დროს აშშ-ს ლიდერი ვალდებული იქნება, თავისი გადაწყვეტილება კონგრესს 48 საათის განმავლობაში დაუსაბუთოს, ხოლო მომდევნო 60 დღის განმავლობაში კანონმდებელთა მხარდაჭერა მიიღოს, რათა ოპერაციის გაგრძელება შეძლოს.

არსებული ინფორმაციით, სათათბიროს დეპუტატები კანონპროექტს მეორე მოსმენით მხარს იმ შემთხვევაში დაუჭერენ, თუ პროექტის ცვლილებათა ტექსტში უფრო კონკრეტულად იქნება განსაზღვრული პარლამენტის როლი მსგავსი სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას.

გარდა ამისა, როგორც სათათბიროს საკონსტიტუციო კანონმდებლობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, "კომუნისტი" ვიქტორ ილიუხინი აცხადებს,

"ისეთ ფართო ფორმულირებას, როგორიც არის რუსეთის ფედერაციის "საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების დაცვა," ვოლუნტარიზმის გამოწვევა შეუძლია."

რუსეთის საკანონმდებლო ორგანის დეპუტატთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი არა უბრალოდ ფედერაციის საბჭოს "დადგენილება", არამედ მისი "თანხმობა" უნდა გახდეს.

დმიტრი მედვედევმა საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებთან მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ პირველად 10 აგვისტოს, სოჭში გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე ისაუბრა. როგორც პრეზიდენტმა რუს კანონმდებლებს განუცხადა, მსგავსი მნიშვნელობის საკითხები ქვეყნის კანონმდებლობაში მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული."

გუშინვე კანონპროექტი პირველი მოსმენით, ფაქტობრივად, ერთხმად მიიღეს.

# ამერიკელების სისხლიანი სამშაბათი ერაყსა და ავღანეთში

სამშაბთი ერაყსა და ავღანეთში ამერიკული სამხედრო შენაერთებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დღე იყო. ერთ დღეში რვა ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა - ოთხ-ოთხი თითოეულ ქვეყანაში.

სამი ჯარიკაცი ერაყის ჩრდილოეთში გზისპირას დამონტაჟებული ფუგასური ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა. ამერიკულ ჯარს ბოლო ხუთი თვის მანძილზე ერთი ინციდენტის დროს ამხელა მსხვერპლი არ ჰქონია. კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი ბაღდადში დაიღუპა, ისიც გზისპირზე დამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად. სამხედროების დაღუპვის ზუსტ ადგილს არ იტყობინებიან, რადგან მათი ოჯახებისთვის ინფორმაცია ჯერ არ მიუწოდებიათ. იმავე დღეს მსგავსი აფეთქების შედეგად დაიღუპა კირკუკთან ახლოს, მისგან სამხრეთით მდებარე ქალაქ ამირლის პოლიციის უფროსი და მასთან ერთად, სულ ცოტა, ოთხი ერაყელი პოლიციელი.

ივნისის ბოლოდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ჯარებმა ერაყის ქალაქები დატოვეს და უსაფრთხოებაზე პასუხიმგებლობა ერაყის არმიას და პოლიციას დაეკისრა, თავდახმების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ერაყში 2003 წელს ამერიკისა და მისი მოკავშირეების შესვლის მომენტიდან, სულ, დაახლოებით, 4340 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.

ავღანეთში, ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე კუნარის პროვინციაში მომხდარი თავდასხმის შედეგად ოთხი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. თავდასხმების რაოდენობა ბოლო თვეების განმავლობაში ავღანეთშიც ძალიან გაიზარდა და თალიბების რეჟიმის დაცემიდან მთელი რვა წლის მანძილზე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ავღანეთში ამ რვა წელიწადში, სულ, 820 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

*"ბი-ბი-სი"-ს მიხედვით*
*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ყვითელი აგურის გზა

## "ოზის ჭადოქრის" ალტერნატიული ვერსიის გადაღება იწყება

ზუსტად 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკრანებზე ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო და საკულტო ფენტეზი ფილმად აღიარებული "ოზის ჯადოქარი" გამოვიდა. ორი "ოსკარისა" და უამრავი სხვა ჯილდოს მფლობელი ფილმის იუბილე აგვისტოს მიწურულს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს, პარალელურად კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ ფრენკ ბაუმის ნაწარმოების მიხედვით კიდევ ერთი ფილმი მზადდება. ამჯერად მას კანადელი მხატვარ-დიზაინერი ტოდ მაკფარლეინი ქმნის, თუმცა თავადვე ამბობს, რომ ყველასთვის ცნობილი პერსონაჟებისგან პრაქტიკულად არაფერს დატოვებს - იგი "ოზის ჯადოქრის" გოთურ, პანკურ და ემო ვარიანტს ამზადებს, დოროთი კი კიდევ ერთხელ შეუდგება ყვითელი აგურის გზას.

ტოდ მაკფარლეინი მსოფლიოში ცნობილი მხატვარ-დიზაინერია და მრავალი წელია ერთმანეთის კონკურენტ DC Comics-სა და Marvel-თან თანამშრომლობს. როგორც ჩანს, ის იმდენად კარგი სპეციალისტია, რომ პრეტენზია არც ერთ კომპანიას არ აქვს. სწორედ მაკფარლეინია "ადამიანი ობობას" ბოლოს გრაფიკული ნოველების მთავარი მხატვარი, რომელმაც მას ვარსკვლავური სტატუსი შესძინა და სემ რეიმიმ "ადამიანი ობობა: მტრის ანარეკლზე" სამუშაოდაც მიიწვია. მაკფარლეინი გახლავთ კომიქს "სპაუნის" ავტორი, რომლის მიხედვითაც 1997 წელს ნაკლებად წარმატებული ფილმიც გადაიღეს. თუმცა თავად კომიქსი იმდენად პოპულარული იყო, რომ მსოფლიოში ორ მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.

პარალელურად ტოდ მაკფარლეინმა კომპანია McFarlane Toys დააარსა, რომელიც საკოლექციო ფიგურებს უშვებს, მათ შორის შეხვედებით არა მხოლოდ დიზაინერის მიერ შექმნილს, არამედ გაცილებით პოპულარულებსაც ("ტერმინატორის", "შრეკის", "მატრიცისა" და სხვა სერიებს). სწორედ ამ კომპანიამ გამოუშვა "ოზის ჯადოქრის" ახალი სერიაც, რომლის პერსონაჟებიც იმდენად მოდერნიზებული და სტილიზებულია, რომ ბავშვებისთვის ალბათ ნაკლებადაა განკუთვნილი.

მაგალითად დოროთი, რომელიც ორიგინალურ ნაწარმოებში ისევე, როგორც ფილმში, ძალიან მოკრძალებული და წყნარი გოგონაა, აქ ნამდვილი სიძვის განსახიერებაა: ტყავის თეთრეული და აჭიმებით დამაგრებული დაგლეჯილი კოლჰოტი აცვია, ღრმა დეკოლტეთი იწონებს თავს და სქელ ლანჩიან მაღალყელიანი ჩექმა აცვია. ნაკლებად არც კეთილი და მშიშარა ლომი დაზარალდა - მაკფარლეინმა მას ჯოჯოხეთის მაშხალას შესახედაობა მისცა. საცოდავ ლომს ამღვრეული მზერა, აბურდული, ნახევრად გაქუცული ფაფარი აქვს და ხახა საზარლად აქვს დაფჩენილი. რკინის შეშის მჭრელს ტოდ მაკფარლეინმა ვიდეო თამაშების რობოტის, თანაც ჟანგიანი და ნახევრად უვარგისი რობოტის შესახედაობა მისცა. იგი რაღაცით ტრანსფორმერსაც მოგაგონებთ და რაღაცით "ჰალოს" მასტერ ჩიფსაც.

სწორედ ამ ფიგურებით მიადგა ტოდ მაკფარლეინი კინოკომპანია



*1939 წლის ფილმი*

Warner Bros.-ის ხელმძღვანელობას და ისტორიის თანამედროვე ვერსიის გადაღება შესთავაზა. აღმოჩნდა, რომ მას სცენარიც მოფიქრებული ჰქონია: ფილმის მთავარი გმირია ნამდვილი დოროთის შვილიშვილი, რომელიც ბებიას მსგავსად თავგადასავლების საძიებლად მიემგზავრება, გზას კი ლამის სერჟანტ რიპლის მეთოდებით მიიკვლევს... რაც უნდა გასაკვირი იყოს, ეს იდეა "უორნერის" ბოსებს ძალიან მოეწონათ და უახლოეს მომავალში ფილმზე მუშაობასაც დაიწყებენ. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ჯოშ ელსენის მიერ დაწერილი სცენარი "უორნერმა" ნაკლები სექსუალურობის გამო დაიწუნა და ამ მიმართულებით სიუჟეტის გამძაფრება მოითხოვა.

რაც შეეხება იუბილარ ფილმს, "ოზის ჯადოქარი" ლეგენდარულმა ვიქტორ ფლემინგმა 1939 წელს გადაიღო. ეს მუსიკალური-ზღაპრული სასწაული დღემდე რჩება ჟანრის კლასიკად და ამავე ჟანრის ფუძემდებლადაც. მისი შემქნის შესახებ დღემდეა შემორჩენილი ლეგენდად ქცეული ისტორიები. გადაღებებისთვის მზადება რამდენიმე საათით ადრე იწყებოდა, რადგან ლომის, რკინის შეშის მჭრელის, საფრთხობელასა და სხვა პერსონაჟებისთვის გრიმის დადებას საშუალოდ ხუთსაათიანი შრომა სჭირდებოდა. ფილმი ნამდვილად ეპატაჟურია თუნდაც იმ მხრივ, რომ პირველი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ფერადი და შავ-თეთრი გამოსახულება ერთმანეთს ცვლის. თუმცა ფილმი მთლიანად შავ-თეთრ ფირზეა გადაღებული და საჭირო სცენები მხოლოდ შემდეგაა გაფერადებული. ნამდვილი ტექნოლოგიური საოცრებაა, როდესაც დოროთის დეიდა ემი კეთილი ჯადოქრის როლში ეცხადება - ასეთი მონტაჟი მაშინ პრაქტიკულად არ კეთდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად დოროთის როლი ბავშვი-საოცრება შირლი ტემპლისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა საბოლოოდ როლი ჯუდი გარლანდს, ლაიზა მინელის დედას ხვდა წილად. ჰაროლდ არლენის მიერ დაწერილი "ოსკარით დაჯილდოებული სიმღერა Ower the Rainbow დღემდე ჰიტად მიიჩნევა, მისი ქოვერ ვერსია კი უამრავ სხვადასხვა სტილის შემსრულებლებს აქვთ გაკეთებული.

ფრენკ ბაუმის ნაწარმოები "ოზის საოცარი ჯადოქარი" 1900 წელს გამოვიდა, თუმცა მასში ჩამალული პოლიტიკური ასპექტების გამო დიდი ხნის განმავლობაში ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. ცოტა ხნის შემდეგ ნაწარმოები საბჭოთა კავშირშიც გამოიცა, თუმცა "ზურმუხტის ქვეყნის ჯადოქრის" სახელით და სხვა ავტორით - მას ხელს ალექსანდრე ვოლკოვი აწერდა. ამავე ნაწარმოებით გადაღებული თოჯინური მულტფილმი ალბათ ყველას გინახავთ, ფლემინგის ფილმთან ის ცხადია ვერასდროს მივა...

# ჯექსონის ხელთათმანი და ჰიტლერის ნახატები

აუქციონებზე გამოჩენილ ადამიანთა ნივთები თუ ნამუშევრები სარფიანად იყიდება. ამის მაგალითია მელბურნში ორგანიზებული აუქციონი, სადაც მაიკლ ჯექსონის თეთრი ხელთათმანი, რომელიც მისი სასცენო სახის ატრიბუტებიდან განსაკუთრებით ცნობილი იყო და Swarowski-ს ფირმის ბროლით გახლდათ მოქარგული, 49 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა.

აღნიშნული ხელთათმანი ჯექსონმა მაყურებელთა დარბაზში 1996 წელს, ავსტრალიაში ორგანიზებული კონცერტის ბოლოს ისროლა. მაშინ მომღერალი გასტროლებს მსოფლიო ტურნეს, სახელწოდებით HISTORY (1995 წელს ჯექსონმა ამავე სახელწოდების ალბომი გამოუშვა), ფარგლებში მართავდა. ეს ხელთათმანი დაიჭირა მელომანმა ბილ ჰიბლმა, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია და ნივთი პოპ-მუსიკის მეფის გარდერობიდან აუქციონზე გასაყიდად მისმა დედამ გამოიტანა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ხელთათმანი ეკეთა მაიკლ ჯექსონს, როდესაც მან ცოლად მისი უფროსი შვილების დედა - დები როუ შეირთო. ცნობილი ნივთი ლას ვეგასის კაზინო Hard Rock-მა შეიძინა.

Bonhams და Goodman-ის აუქციონთა სახლების წარმომადგენლების სიტყვებით, ხელთათმანში გადახდილმა თანხამ მათ მოლოდინს ორჯერ გადააჭარბა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ ლოტში 25 ათას დოლარზე მეტს ვერ აიღებდნენ. "ჯერ კიდევ აუქციონის გახსნამდე პოტენციური მყიდველი ხელთათმანისადმი დიდი ინტერესს იჩენდა, მაგრამ ჩვენ მაინც გავოცდით, როდესაც ის ამხელა ფასად გაიყიდა", - განაცხადა აუქციონის სახლის თანამშრომელმა შარლოტა სტეინსმა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომღერლის აქსესუარების დიდი კოლექციიდან ეს ხელთათმანი პირველია, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გაიყიდა.

რაც შეეხება ჯექსონის მეორე თეთრ ხელთათმანს, რომელიც მას 1983 წელს, სწორედ იმ მომენტში ეკეთა, როდესაც მან მსოფლიოს მისი ცნობილი მოძრაობა, სვლა აჩვენა. ეს ხელთათმანიც მალე ნიუ იორკის აუქციონზე გაიყიდება. ამ უკანასკნელს სპეციალისტები 60 ათას დოლარად აფასებენ.

ახლახანს მეორე აუქციონი ჩატარდა გერმანიაშიც, სადაც აკვარელში შესრულებული სამი ნამუშევარი გაიყიდა. ვარაუდობენ, რომ ისინი ადოლფ ჰიტლერს ეკუთვნის. ისინი 42 ათას ევროდ შეიძინეს.

ნახატები გასაყიდად გამოიტანეს აუქციონზე, რომელიც მოეწყო ნიურნბერგში - ქალაქში, სადაც ნაცისტების ტრიბუნალი მიმდინარეობდა. აუქციონის კომპანიის ხელმძღვანელმა ჰერბერტ ვაიდლერმა აღნიშნა, რომ ნამუშევრები სამმა მყიდველმა ტელეფონის დახმარებით შეიძინა. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც ავსტრიის ქალაქ ვაისენკირჰენიდანაა, ნახატში 24 ათასი ევრო გადაიხადა.

აკვარელში შესრულებული ნიმუშები თარიღდება 1910-1911 წლებით, როდესაც ჰიტლერი ვენაში ცხოვრობდა და თავს ნახატების გაყიდვით ირჩენდა. ყველა გაყიდული ნამუშევარი ავტორის მიერ არის ხელმოწერილი.



ვაიდლერის სიტყვების თანახმად, აღნიშნული ნახატების მხატვრული ხარისხი შეიძლება "სოფლის სკოლის მხატვრის მასწავლებლისას" შევადაროთ. "შესაძლოა, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებაც არსებობს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ნამუშევრები საკმაოდ უფერულია", - უთხრა სააგენტო "როიტერის" კორესპოდენტს საააუქციონო ფირმის მეთაურმა.

ამ ბოლო ხანებში აუქციონებზე გასაყიდად ჰიტლერის არაერთ ნამუშევარს აღმოაჩენთ. მაგალითად, 2009 წლის 13 აპრილს ბრიტანეთში გაიყიდა, როგორც ვარაუდობენ, მისი ყველაზე ადრეული ნახატები. მათში 150 ათასზე მეტი დოლარი გადაიხადეს. 1945 წელს ეს ნამუშევრები გერმანიაში მყოფ ბრიტანელ ჯარისკაცს ჩაუვარდა ხელში. ამბობენ, რომ 1909-1945 წლებში ჰიტლერმა, დაახლოებით, 3400 ნახატი შექმნა.

კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ადოლფ ჰიტლერის ნამუშევრების გაყიდვა არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. ზოგს მათ ორიგინალობაში ეჭვი შეაქვს, სხვები კი ამორალურ საქციელად მიიჩნევენ ნაცისტების ლიდერის ნამუშევრებით ფული კეთებას. ამასთან დაკავშირებით ჰერბერტ ვაიდლერმა აღნიშნა, რომ მის აუქციონზე ჰიტლერის ნახატები აქამდეც გაყიდულა. მათგან შემოსული თანხის მთელი საკომისიო კი მან სრულად შესწირა ებრაულ მუზეუმს.



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო არტისტის, ქართული სცენისა და ეკრანის დიდოსტატის

**მედეა ჩახავას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**განცხადება**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე:

- გინეკოლოგი
- ენდოკრინოლოგი
- ბავშვთა ენდოკრინოლოგი
- დერმატოლოგი
- ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი
- მამოგრაფიის სპეციალისტი
- ნეფროლოგი
- უროლოგი
- კარდიოლოგი
- ოფთალმოლოგი
- რევმატოლოგი
- ბავშვთა ნევროლოგი

**მოთხოვნები:**

- სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
- პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 ოქტომბრამდე

მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ N20. ტელ: 91 31 19; 91 32 42

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისში არსებული შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობის (ექსპლუატაცია) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი ადგილმდებარეობის მიხედვით დაყოფილია 3 (სამ) ლოტად:

***ლოტი N1*** *1. გულიას მოედანი; 2. ფინანსთა სამინისტროს შენობასთან; 3. ავლაბრის მოედანი; 4. აბანოთუბანში "ხოხობი"; 5. სასტუმრო "ამბასადორის" წინ; 6. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინ; 7. ჩიტაიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ; 8. ვახტანგ ჭაბუკიანის სკვერში; 9. პუშკინის სკვერში; 10. თავისუფლების მოედანზე (წმ. გიორგის მონუმენტი); 11. საკრებულოს შენობის წინ; 12. 300 არაგველის მონუმენტთან;*

***ლოტი N2*** *1. სახელმწიფო კანცელარიის წინ; 2. ჩიტაძის ქუჩაზე, პარლამენტის შენობის უკან; 3. რუსთაველის გამზირი, პარლამენტის შენობის წინ; 4. ოპერის ბაღში; 5. 9 აპრილის ქვედა ბაღში; 6. ვარდების რევოლუციის მოედანზე; 7. ფილარმონიის შენობის წინ; 8. ვერის ბაღში; 9. შოთა რუსთაველის ძეგლის წინ "ლომები"; 10. ორბელიანის მოედანზე;*

***ლოტი N3*** *1. ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშთა ქალაქ მზიურის ტერიტორიაზე; 2. ვაკის პარკის მიმდებარე მოედანი; 3. ვაკის პარკში; 4. გმირთა მოედანზე; 5. რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში; 6. დ. აღმაშენებლის გამზირი N127-ში; 7. მრგვალ ბაღში; 8. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სკვერში;*

*შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2**. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 10 სექტემბრიდან ამავე წლის 30 სექტემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში არსებული შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობის (ექსპლუატაცია) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სოფიკო ვაჩეიშვილი, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

181-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს სკოლის სასადილოს 235 კვ.მ და სააქტო დარბაზის 235 კვ.მ ფართის იჯარით გასაცემად.
ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
წინადადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას 2009 წლის 20 სექტემბრამდე.
დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: **899553818; 877930081;**
მისამართი: მუხიანის მე-4ბ მ/რ-ნი, 181-ე საჯარო სკოლა.

# ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსცენტრების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 07 სექტემბერს გაზეთში "24 საათი'' N193 გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. განცხადების პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების" და საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" პროგრამების დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. განცხადების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი ლოტები:

**ლოტი N6** მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გლდანის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

**ლოტი N7** ქ. თბილისის N42 საჯარო სკოლის შენობის გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N8** თბილისის N153 საჯარო სკოლის შენობის გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N9** თბილისის N32 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის გაძლიერების სამუშაოები;

3. განცხადების მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მიწოდების სავალდებულო ვადაა N1, N2, N3, N4, N5, N6 და N9 ლოტებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 70 კალენდარული დღე, ხოლო N7 და N8 ლოტებზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღე";

4. Gგანცხადების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის შენიშვნის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "**შენიშვნა:** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო ორი წლის განმვალობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტის, ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების დართვით, ამასთანავე პრეტენდენტმა უნდა დაურთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება, რომ შემსრულებელმა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი სამშენებლო სამუშაოები.

5. განცხადების მე-8 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე და საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში";

სატენდერო კომისიის აპარატი

## გიორგი ჭანტურია "ბარსელონაში" ითამაშებს

ესპანერი გაზეთ sport-ის ცნობით. კატალონიურმა "ბარსელონამ" კიდევ ერთი მარგალიტი შეიძინა, სახელად გიორგი ჭანტურია და ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს კონტრაქტი გაუფორმა. ესპანური გრანდი ქართველი ჭაბუკით ჯერ კიდევ 2006 წელს დაინტერესდა, როცა გიორგი ჭანტურია 13 წლის ასაკში "დანას" თასის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ის "ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში სინჯებზე მიიწვია.

ჭანტურიამ თავის ახალ გუნდში კარგად წარმოაჩინა თავი და "ბარსას" გუნდის ხელმძღვანელობის ყურადღება მიიპყრო. გაზეთ sport-ის ინფორმაციით საქართველო არ მიეკუთვნება საფეხბურთო გრანდების რიცხვს, მაგრამ ამის მიუხედავად მიიჩნევს, რომ ნიჭიერ ქართველ ჭაბუკს დიდი მომავალი ექნება. ესპანელი მიმომხილველების აზრით ჭანტურია კარგ სათამაშო ტექნიკას ფლობს და არ უჭირს დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა. ის მინდორს კარგად ხედავს და პოზიციებსაც ზუსტად ირჩევს.

"ბარსელონაში" მოთამაშე ქართველი ფეხბურთელით ინგლისური და გერმანული გუნდებიც იყვნენ დაინტერესებულნი და ამიტომ კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქართველ ნახევარმცველთან კონტრაქტი გაეფორმებინა. "ბარსელონასა" და ჭანტურიას ყოფილ გუნდ "საბურთალოს" შ რის შეთანხმება უკვე შედგა. გიორგი ჭანტურია "ბარსელონაში" ითამაშებს.

## ჯანაშიამ რუსეთში გოლები გაიხსენა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ზაზა ჯანაშიამ, სამშაბათ საღამოს, ჩერკიზოვოში, ყოფილი კლუბის მოსკოვის "ლოკომოტივისა" და რუსეთის ეროვნული გუნდის ვეტერან "ვარსკვლავებს" შორის გამართულ შეხვედრაში, თავი დუბლით გამოიჩინა. თავდაპირველად მე-11 წუთზე ხოლო შემდეგ 51-ზე. მეორე გოლიდან ერთ წუთში კი როდესაც საკუთარი საქმე შესრულებული ჰქონდა, ქართველი ფეხბურთელი შეცვალეს. შეხვედრა კი "რკინიგზელთა" გამარჯვებით 4:3 დასრულდა.

რუსეთის ნაკრების კარს საწყისი 15 წუთი რინატ დასაევი იცავდა, ასევე მოედანზე 41 წუთი დაჰყო ახრიკ ცვეიბამ. "საუცხოო დღე იყო. ბედნიერი ვარ, რომ ისევ ერთად შევიკრიბეთ, როგორც ეს საუკეთესო წლებში ხდებოდა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ, რომ გუნდს, რომელიც 10 წლის წინ გვყავდა, თამაში კიდევ შეუძლია. პირადად, დიდი სიამოვნებით კიდევ მეტ ხანს დავრჩებოდი მოედანზე, მაგრამ სიომინმა შემცვალა, რადგან თამაშის საშუალება სხვებისთვისაც მიეცა. "ლოკომოტივი" ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძოდა და გამონაკლისი არც განვლილი თამაში ყოფილა. მიხარია, რომ თავი ორჯერ გამოვიჩინე და გულშემატკივრები როგორც გოლებით, აგრეთვე, ყირამალებით გავახარე. ქომაგების ასეთ დახვედრას ნამდვილად არ ველოდი და მათი მხრიდან ეს ჟესტი ძალიან სასიამოვნო იყო", - თამაშის შემდეგ ემოციებს ვერ მალავდა ჯანაშია.

## გერმანიამ 2010 წლისთვის სასტუმრო დაჯავშნა

სამხრეთ აფრიკაში ჩასატარებლი მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე გერმანიის ნაკრებმა თადარიგი დაიჭირა და ჩემპიონატის მასპინძლებს აქედანვე დააჯავშნინა სასტუმრო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს ჯერ არ მოუპოვებიათ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, მათ უკვე ამოირჩიეს და დაჯავშნეს 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ძვირადღირებული ნომრები. სასტუმრო Velmore Grande, რომელიც პრეტორიასთან ახლოს მდებარეობს, ოფიციალურად მხოლოდ მიმდინარე წლის ნოემბერში გაიხსნება. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ადასტურებს, რომ შეუკვეთა ნომრები, სადაც ქვეყნის ნაკრები 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას იცხოვრებს.

## დროგბა "ჩელსის" ეთაყვანება

ლონდონის "ჩელსის" ფორვარდი დიდიე დროგბა "ჩელსიში" შექმნილი ატმოსფეროთი კმაყოფილებას ვერ ფარავს. აცხადებს კიდეც კლუბისადმი ჩემი პატივსცემის ნიშნად ხშირად გუნდის წარმატებისთვის საკუთარ ინტერესებს ვუგულვებელყოფო.

"გუნდის სასიკეთოდ ხშირად საკუთარი ინტერესების დათმობა მიხდება. პირად სტატისტიკას თვალს არ ვადევნებ. გინახავთ ოდესმე ჩემი დონის ფორვარდი, რომელიც დაცვაში იმდენს თამაშობს, რამდენსაც მე? ამჟამად საკუთარი ძალის რწმენა გაგვაჩნია და მშვიდად ვართ. ჩვენი გუნდი ფიზიკურად და სულიერად ძლიერია. მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი დიდი პატივისცემით სარგებლობს და ფეხბურთელებიც მას ისე ეპყრობიან, როგორც ძველ მეგობარს. სწორედ ამიტომ მივიჩნევ, რომ გუნდის განწყობა ნამდვილად სამაგალითოა".

## კოლო ტურე სითელი კაპიტანია

რიჩარდ დანის "მანჩესტერ სიტიდან" "ასტონ ვილაში" გადასვლის შემდეგ სიტელებმა კაპიტნის სამკლაური გუნდის ახალწვეულს, კოლო ტურეს არგუნეს.

...ბოლო ორ მატჩში "სიტის" კოლო ტურე კაპიტნობდა, რის შემდეგაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა სამკლაური საბოლოოდ სწორედ მას გადასცა.

"ტურეს ყველა მონაცემი გააჩნია, რათა კარგი კაპიტანი იყოს. მას კლუბთან ერთად მხოლოდ წინსვლა სურს. მოგვწონს გუნდში შექმნილი ვითარება, სადაც ამ როლის თამაში არაერთ ფეხბურთელს შეუძლია. მაგრამ კოლო ჩვენთვის საუკეთესო არჩევანია", - მარკ ჰიუზი Sky Sports-თან საუბარში ტურეს კაპიტნობას ამართლებს.

პრემიერლიგის მომავალ ტურში ტურე თავისი ყოფილი კლუბის, ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ ითამაშებს, რომლის მაისურით, კოტ დ'ივუარელ ფეხბურთელს, 225 მატჩში 9 გოლი გაუტანია (2002-2009).

# ეს ქართული კალათბურთია

პირველი გვერდიდან

ნაკრების კაპიტანმა სლავებთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე თქვა, ხვალ განსაკუთრებული დღე გვექნება, B დივიზიონს დავემშვიდობებითო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პირობა აასრულა. საქართველო A დივიზიონშია.

პირთამდე სავსე სპორტის სასახლეში გამარჯვების სუნი ტრიალებდა. ეჭვი არავის შეპარვია, რომ გამარჯვება საქართველოს დარჩებოდა. დასკვნით პერიოდამდე მეტოქეები მუდმივად მდევრის როლში იყვნენ. სლავებს საწყისი პერიოდი აშკარად გაუჭირდათ. მეტ-ნაკლებად გონს მეორეში მოეგნენ და სხვაობა სახიფათოდ ორ ქულამდე შეგვიმცირეს, მაგრამ დროებით. დინამიურ შეხვედრაში ყველაზე დასამახსოვრებელი დასკვნითი მეოთხე პერიოდი გამოდგა. მდევრის როლში მყოფმა ბელარუსებმა წუთ ნახევარში ანგარიში გაათანაბრეს და ნახევარ წუთში ორ ქულიანი უპირატესობაც კი იგდეს ხელთ - 71:73. მართალია, ტაირონ ელისის სამქულიანმა მდგომარეობიდან გამოგვიყვანა, მაგრამ წამებში იგივე სურათი მივიღეთ - ბელარუსებმა გაათანაბრეს და იქვე ქულითაც დაწინაურდნენ. შეხვედრა ქულა ქულაში წარიმართა. აშკარა იყო, ჩვენების თამაშში გარდატეხის შეტანა გახდა საჭირო. ამაში კი მნიშვნელოვანი როლი გულშემატკივარმა ითამაშა. აჭრილი საქართველოს ნაკრები ყიჟინით გამოაფხიზლა, მეტოქე კი სტვენით დაზაფრა. შედეგმაც არ დააყოვნა, საქართველო - ბელარუსი 86:84 დასრულდა.

ქართველთაგან საუკეთესო მოთამაშე ვიქტორ სანიკიძე გახდა, რომელმაც 18 ქულას 10 მოხსნა შემატა და ორმაგი დუბლი შეასრულა, ტაირონ ელისის ანგარიშზე კი 17 ქულაა. მთლიანობაში, შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი ალექსანდრ კუდრიავცევი გახდა, რომელმაც 28 ქულას მოუყარა თავი.



ტაირონ ელისი საქართველოს 17 ქულით შეეწია.

**ვლადიმერ ბოისა:** "ათი წელიწადია ნაკრებში ვარ. არაერთი მწვრთნელის ხელში მითამაშია. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კოკოშკოვმა მგონი ყველაზე უკეთ გაიგო ჩვენი ხასიათი. უკეთ აგვიღო ალღო და აი, შედეგიც.

ახლა როდესაც ელიტაში ვართ, გაცილებით მეტი ყურადღება გვჭირდება. ავსტრიულის დარი შეკრებები A დივიზიონისთვის საკმარისი აღარ იქნება.

გამოცდილება ყველას გვაქვს. გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ და მომავალი მართლა გვაქვს. 28 წლის ვარ. ნაკრებში ყველაზე დიდი მე ვარ. პირადად მე მაღალ დონეზე კიდევ 4-5 წელი ვითამაშებ. სხვები მინიმუმ ათ წელიწადს. ახლა საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ბავშვთა კალათბურთს, რათა ესტაფეტა წარმატებით ჩაიბარონ".

**ვიქტორ სანიკიძე:** "ბელარუსებმა უმაღლეს დონეზე ითამაშეს, რასაც არ ველოდით. მიუხედავად ამისა, ძალების მობილიზება შევძელით და შეხვედრა მოვიგეთ. ჩვენს წარმატებაში ლომის წილი შეიტანა გულშემატკივარმა. მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო".

**ზაზა ფაჩულია:** "ბელარუსი ტყუილად არ გასულა ფლეი-ოფში. აშკარად ძლიერი გუნდია. როდესაც გაქვს შანსი მოიგო 15 ქულით და მერე ელიტაშიც აღზევდე ამისთვის ყველაფერს გააკეთებ. ვიცოდით, წაგების შემდეგ მდგომარეობის გამოსასწორებლად რომ თავს არ დაზოგავდნენ. როგორც არ უნდა იყოს, შეხვედრა მოვიგეთ. ამისრულდა ოცნება. ელიტაში ვართ. ასეთი გულშემატკივრობის ფონზე აქ ჩამოსულ თითოეულ ნაკრებს გაუჭირდება თამაში".

**ალექსანდრ პოპკოვი (ბელარუსიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** "თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე და მერე თამაშის მოგებაზე ფიქრს შევუდექით. სამწუხაროდ ბევრი შეცდომა დავუშვით. თქვენს მხარეს იყო მასპინძლის სტატუსიც. უცხო მოედნის სინდრომი ყოველთვის საკუთარ როლს თამაშობს. არადა, ტრადიციისამებრ გასვლით შეხვედრებში უკეთ გამოვიყურებით ხოლმე. ახლა ერთადერთი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ ჩვენი შეხვედრა კალათბურთის ჭეშმარიტი დამფასებლების წინაშე ჩავატარეთ. სასიხარულო და საამოა, როდესაც საქართველოში ასე უყვართ კალათბურთი".

**ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. ფლეი ოფი**
**საქართველო 86:84 ბელარუსი**
**(27:19, 25:27, 19:22, 15:16)**

**საქართველო:** გიორგი გამყრელიძე, ვლადიმირ ბოისა (11), ანატოლი ბოისა, ზაზა ფაჩულია (11), გიორგი ცინცაძე (3), გიორგი შერმადინი (2), კოტე ტუღუში (13), ვიქტორ სანიკიძე (18), ნიკა მეტრეველი, ტაირონ ელისი (17), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (11), თორნიკე შენგელია.

# ზესტაფონური სიურპრიზი

## შთამბეჭდავი გამარჯვება მარცხიანი სტარტის შემდეგ

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული, გნებავთ, ოლიმპიური ნაკრები მორიგ შესარჩევ ტურნირში ჩაება, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს. ამ საკვალიფიკაციო რაუნდში წარმატებული გუნდი არა მხოლოდ 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს, არამედ, ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საგზურსაც მიიღებს.

იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მოხვდა ქვეჯგუფში, სადაც, ჩვენების ჩათვლით, ერთბაშად რამდენიმე გუნდი აცხადებს შემდეგ ეტაპზე გასვლის პრეტენზიას. ეს მოსაზრება, თუნდაც სადებიუტო თამაშებმა დაადასტურა, როცა ორი ტურის შემდგომ სატურნირო ცხრილში დიდი სიმჭიდროვე გამოიკვეთა. თურქეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ირლანდია, სომხეთი და საქართველო - ასეთი გახლავთ ჩვენი ჯგუფის შემადგენლობა და როგორც ჩანს, ამ კამპანიაში ყოველგვარი ამბიციის გარეშე მხოლოდ ჩვენი მეზობელი სომხეთია, რომელმაც უკვე სამი თამაშის ჩატარება მოასწრო და სამივეში მარცხი განიცადა.

წარმატებული არც ოთარ გაბელიას შეგირდების დებიუტი გამოდგა. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები სასტარტო შეხვედრაში ტალინში დაუპირისპირდა ესტონელ თანატოლებს და ანგარიშით 0:2 დათმო შეხვედრა. იმ მატჩში, რომელიც 5 სექტემბერს გაიმართა, ჩვენმა ახალგაზრდებმა არაერთი ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენეს. აი მასპინძლებმა კი მომენტების საკმაოდ მწირი რაოდენობიდან მაქსიმუმი "გამოადნეს": თითოეული ტაიმის მიწურულს თითო გოლი გაგვიტანეს და მორიგი ქულები მიითვალეს (სასტარტო შეხვედრაში ესტონეთმა სტუმრად მოახერხა შვეიცარიის საკმაოდ ძლიერი გუნდის დამარცხება - 1:0).

გუშინ ჩვენი ახალგაზრდული გუნდის მეტოქე უკვე ჯგუფის მთავარ ფავორიტად შერაცხული თურქეთის 21-წლამდელთა ნაკრები იყო, რომელსაც ზესტაფონში ვუმასპინძლეთ აღსანიშნავია, რომ წინა შეხვედრასთან შედარებით, გაბელიას გუნდი გაძლიერებული შემადგენლობით დაუხვდა სამხრეთ-დასავლელ მეზობელს. ახალგაზრდულმა ეროვნული ნაკრებიდან ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი - ყენია, ანანიძე, ვაწაძე და სანაია მიიღო. გაბელიამ ოთხივე ეს ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში გამოიყვანა და არც შემცდარა. რაც მთავარია, თამაში, მეტი რომ არ შეიძლება, ისე კარგად დაიწყო: უკვე მე-2 წუთზე მეკარე კვასხვაძის მიერ ძლიერი დარტყმით თამაშში შეყვანილი ბურთი ჩვენი ახალგაზრდულის თავდამსხმელმა, ივანიშვილმა ხელსაყრელ ვითარებაში მიიღო და გოლის გატანაც არ გასჭირვებია. ჩვენი მოწინააღმდეგე ძალზე გააღიზიანა ამ გოლმა და მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ხისტი და უხეშობის ზღვრამდე მისული თამაშის დროს ეს ზღვარი საკმაოდ ხშირად ირღვეოდა, რის გამოც მსაჯს ხუთწუთიან მონაკვეთში სტუმართა სამი ფეხბურთელისთვის მოუწია ყვითელი ბარათების ჩვენება. ორი გაფრთხილება ქართველებმაც მიიღეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უხეში თამაში არაფერ შუაშია: ყენია ესპანელმა არბიტრმა სიმულაციისთვის დასაჯა, ხოლო ანანიძეს - შეკამათება არ აპატია. 35-ე წუთზე კი თითქოს კვანძი გაიხსნა: ყენიას მიერ მარცხენა ფლანგიდან კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ ზესტაფონელი ხიდეშელი მაღალ ნახტომში შეწვდა ბურთს და თავური დარტყმით - 2:0 გახადა. დარჩენილ დროში საქართველოს ნაკრებმა შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება და შესვენებაზე საკმაოდ კომფორტული, ორბურთიანი სხვაობით გავიდა. საწყის ორმოცდახუთწუთეულში სტუმრები კვასხვაძის კარს რეალურად მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ, მაგრამ ამ ეპიზოდში ზესტაფონელმა კიპერმა საიმედოდ ითამაშა.

შეხვედრის მეორე ნახევარი მეტად სამწუხარო ინციდენტით დაიწყო. ესპანელმა არბიტრმა, ანტონიო პერესმა ორთაბრძოლაში შესული ამირან სანაიას თამაში მიზანმიმართულ, თანაც ძალზე სახიფათო უხეშობად მიიჩნია და ფრანგული "ლე მანის" ქართველი მცველი მოედნიდან გააძევა. ეს 47-ე წუთზე მოხდა და აქედან მოყოლებული, ჩვენმა გუნდმა კაცნაკლული შემადგენლობით დაასრულა მატჩი, რაც ერთი შეხედვით, თურქების აქციებს ამ თამაშის გადარჩენაზე ძალზე ზრდიდა. თუმცა, პირველი შტურმის მოგერიების შემდეგ, რაშიც უდიდესი როლი მეკარე კვასხვაძეს მიუძღვის, ჩვენებმა თამაში აკადემიურ რიტმში გადაიყვანეს. მეტად მწვავე კონტრიერიშებსაც მიმართავდნენ და ბოლო ათწუთეულში კიდევ ორი გოლი აგემეს მეტოქეს. თავი შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა - თოთაძემ და გუგავამ გამოიჩინეს. საბოლოოდ, ჩვენმა გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით, - 4:0 გაიმარჯვა და საუკეთესო განწყობით გაემგზავრება დუბლინში, სადაც 9 ოქტომბერს ირლანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფის კიდევ ერთ შეხვედრაში ესტონეთის ნაკრებმა ირლანდიას უმასპინძლა და მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა. დღეისთვის, სატურნირო ცხრილს, 3 თამაშის შემდეგ 7 ქულით ესტონეთის ნაკრები ლიდერობს. 6:6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს თურქეთი და შვეიცარია იყოფენ. საქართველოს ნაკრები 2 თამაშიდან 3 ქულით მეოთხე ადგილზე იმყოფება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:
**ლოტი N1** სანიაღვრე და საკანალიზაციო ჭების კომბინირებული საწმენდი მანქანა 1 ერთეული.

**მანქანის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**
- ძრავის მოცულობა - 7000-7500სმ3/6 ცილინდრიანი/9+1 სიჩქარე;
- სიმძლავრე - მინიმუმ 240 ცხძ;
- საწვავის ავზის ტევადობა მინიმუმ 310 ლიტრი;
- მაქსიმალური სიჩქარე - მინიმუმ 110 კმ/სთ;
- მობრუნების რადიუსი - მაქსიმუმ 8,5მ;
- აღმართის დაძლევის შესაძლებლობა - მინიმუმ 45%;
- გამოშვების წელი - მინიმუმ 2008 წ. (ექსპლოატაციაში არ მყოფი).

**ლოტი N2** დამტვირტველი ექსკავატორი 1 ერთეული.

**ექსკავატორის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**

- გაბარიტული სიგრძე - არანაკლებ 5,91 მ.
- აუქციონის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება ს.ს. „საქტრანსგაზმრეწვთან" იჯარის საფასურის ერთი თვის ოდენობის წინასწარი გადახდის პირობით
- თუ გამარჯვებული მონაწილე, აუქციონის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, არ გააფორმებს ხელშეკრულებას ს.ს. „საქტრანსგაზმრეწვთან", აუქციონის შედეგები ცხადდება გაუქმებულად და ბე არ უბრუნდება.

4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები
- განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს მონაწილის თანხმობა აუქციონის პირობების შესრულებაზე
- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით
- იურიდიული პირების სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლები
- აუქციონში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს
- აუქციონი ითვლება არშემდგარად, თუ მისი ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნება შემოტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს

5. შენიშვნები და დათქმები
- დადგენილი ვადის შემდეგ სააუქციონო განაცხადი არ მიიღება
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღად
- მონაწილეს უფლება აქვს ადგილზე დაათვალიეროს იჯარით გასაცემი ქონება

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის N181-ში მდებარე საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან მისასვლელი გზის და ეზოს კეთილმოწყობის, გ. ტაბიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი -** ქ . თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის N181-ში მდებარე საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან მისასვლელი გზის და ეზოს კეთილმოწყობა, გ. ტაბიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთება;

**2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის N181-ში მდებარე საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან მისასვლელი გზის და ეზოს კეთილმოწყობა;

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთება.

***შესრულების სავალდებულო ვადა თითოეულ ლოტზე: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კვირა;***

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 30 სექტემბრის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ე) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის N181-ში მდებარე საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურთან მისასვლელი გზის და ეზოს კეთილმოწყობის, გ. ტაბიძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (2 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 10 სექტემბრის 11 საათიდან 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო თუჯისა და რკინა ბეტონის მასალების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1**. შესყიდვის ობიექტია: სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო თუჯისა და რკინა ბეტონის მასალები.

*შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.*

**2**. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 01.01.2010 წ-დან 31.12.2010 წ-მდე. Mმიწოდების ადგილი ქ. თბილისი.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 10 სექტემბრიდან ამავე წლის 30 სექტემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**4**. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო თუჯისა და რკინა ბეტონის მასალების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათიდან 14:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**6.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**6.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**7.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

***შენიშვნა:*** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

**8.** ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**9**. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გივი ჭუმბურიძე, ტელ: (995-32) 37-86-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
# მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე
# კომპიუტერული ტექნიკის და აქსესუარების შესყიდვა: #ADB/NS/014-2009

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის კომპიუტერული ტექნიკის და კომპიუტერული აქსესუარების მიწოდებაზე.

*1) კომპიუტერი დესკტოპი -10 ცალი*
*2) 19 დიუიმიანი მონიტორი თხევად კრისტალური -1 ცალი*
*3) 17 დიუიმიანი მონიტორი თხევად კრისტალური -3 ცალი*
*4) პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი) -12 ცალი*
*5) პორტატული კომპიუტერი ლეპტოპის ჩანთა -8 ცალი*
*6) პრინტერი მრავალფუნქციური (A3, ქსელური) - 1 ცალი*
*7) პრინტერი (A3 ქსელური) - 1 ცალი*
*8) პრინტერი მრავალფუნქციური (A4 ქსელური) - 3 ცალი*
*9) ქსელის კონცენტრატორი* ***(Switch- Ports 8)*** *- 5 ცალი*

დეტალური სპეციფიკაციები მოცემულია ფასთა კოტირების ფორმაში.

2. შესყიდვა განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის ფასთა კოტირების პროცედურების მიხედვით.

3. შეფასება მოხდება ფასის შედარების საფუძველზე და კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც წარმოადგენს უდაბლეს ფასს.

4. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მსგავსი მომსახურების განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

5. ფასთა კოტირების ფორმები დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

6. კოტირების წარმოდგენის ბოლო ვადა არის 2**009 წლის 24 სექტემბერი, 17:00 საათი.**

კოტირებები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ვის: ბ-ნი კონსტანტინე მგელაძეს, აღმასრულებელი დირექტორი**
**ქ. თბილისი, 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. N150, III სართული**
**ტელ: (995 32) 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15**
**ფაქსი: +995 32 48 45 55**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისში, კორპუსების (სახლების) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, კორპუსების (სახლების) გამაგრება-გაძლიერება;

**2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 8 (რვა) ლოტად:**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, თემქის III მ/რ-ში, II კვარტლის N30 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება ( მე-3 ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, თემქის IV მ/რ-ში, N5ა კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (მე-3 ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 31 მაისის ჩათვლით.

**ლოტი N3 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, II მ/რ-ში, N2 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (მე-3 რიგის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

**ლოტი N4 -** ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში, III კვარტლის N13 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (მე-2 ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 31 მარტის ჩათვლით.

**ლოტი N5 -** ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში, III კვარტლის N14 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (მე-2 ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

**ლოტი N6 -** ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, I მ/რ-ში, N8 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება (პირველი ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

**ლოტი N7 -** ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. N77ბ საცხოვრებელი სახლის ავარიული აივნების და საკედლე ბლოკების გამაგრება-გაძლიერება (მე-2 ეტაპის სამუშაო); **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 31 მარტის ჩათვლით.

**ლოტი N8 -** ქ. თბილისში, გამრეკელის ქ. N6 საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერება; **შესრულების ვადა** - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 30 სექტემბრის 16:30 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, კორპუსების (სახლების) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (8 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 10 სექტემბრის 11 საათიდან 2009 წლის 30 სექტემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება შ.ს. სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში

შ.ს სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის 1 სექტემბერს სამინისტროს ბალანსზე არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვის მიზნით განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში შევიდეს ცვლილება, კერძოდ შესყიდვის ობიექტს ლოტი №1-ს დაემატოს ლოტი №2 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| № | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | "მერსედესი" E 280 | 1 |
| | "მერსედესი" ML | 4 |
| | "მერსედესი" m/a | 1 |
| | "მერსედესი" E 220 | 3 |
| | "მერსედესი" S 220 | 4 |
| | "მერსედესი" E 320 | 1 |
| 2 | ივეკო | 1 |
| | მანი | 1 |
| | მერსედესი სატვირთო | 3 |

**სატენდერო კომისია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

**აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ავტომანქანები**

| № | ძირითადი საშუალების დასახელება | სახელმწიფო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარებში) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი" | DUD-982 | 1982 | 1200 |
| 2 | ავტომანქანა "მიცუბიში-პაჯერო" | ROS-877 | 1994 | 2200 |
| 3 | ავტომანქანა "მიცუბიში-პაჯერო" | WSW-834 | 1991 | 800 |
| 4 | ავტომანქანა "ზმვ-5251" | VBB-616 | 1992 | 800 |
| 5 | ავტომანქანა "ზმვ-5251" | SOO-001 | 1995 | 1100 |
| 6 | ავტომანქანა "ზმვ-5251" | USU-343 | 1992 | 900 |
| 7 | ავტომანქანა "ნივა" | TST-367 | 1998 | 700 |
| 8 | ავტომანქანა "ზმვ-525" | BSB-616 | 1992 | 400 |
| 9 | ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი" | WDW-445 | 1994 | 800 |
| 10 | ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი" | SKS-703 | 1991 | 300 |
| 11 | ავტომანქანა "გრანდ-ჩეროკ" | LLL-552 | 1994 | 1700 |
| 12 | ავტომანქანა "ურალი" | | 1976 | 1570 |
| 13 | ავტომანქანა "გაზ-53" | ГРЗ 67-73 | 1991 | 367 |

აუქციონში მონაწილეობის წინასწარ შესატანი "ბე" ქონების საწყისი გასაყიდი ფასის 10%-ი. ბიჯის სიდიდე საწყისი გასაყიდი ფასის 5%-ი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 10 (ათი) ლარი.
აუქციონი ტარდება გაზეთში გამოცხადებიდან ოცდამეათე დღეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის შენობაში, II სართულზე, სააქტო დარბაზში 17 საათსა და 30 წუთზე, განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე მიიღება აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით 11 საათამდე. იმ შემთხვევაში თუ განაცხადის მიღების ოცდამეათე დღე და აუქციონის ჩატარების დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ განაცხადების მიღება შეწყდება და აუქციონი ჩატარდება მომდევნო დღეს.
აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას და გასაყიდ ფასს;
- "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შემოტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ასლს თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- "ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს:

მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიშზე №33030131
ს/კ 225393963
ფილიალის კოდი 2201014429

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

ქალაქი ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106 (ბოლნისის მუნიციპალიტეტის შენობა, I სართული), ტელეფონი — 877 955121.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

**საქმე N2-400/09**
**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით**

**27 აგვისტო, 2009 წელი ქ. ბათუმი**
**ბათუმის საქალაქო სასამართლო**
**მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე**
**სხდომის მდივანი ინგა პაპუნიძე**
**მოსარჩელეები:** ჟანნა ზინჩენკო; ნარგიზ მანველიძე; ოთარი რუსეიშვილი;
**წარმომადგენელი:** როინ შავაძე;
**მოპასუხეები:**
1. ფატმან ირემაძე; ინა ჯაველიძე; ანდრეა კეშელავა; თამარა ანტონოვა-კრიტიკოვა (არ გამოცხადდა);
2. არშალუის ვოსკერჩიანი; წარმომადგენელი: პაატა ბერიძე;
3. ქ. ბათუმის მერია; წარმომადგენელი: რამაზ მუმლაძე
**დავის საგანი:** ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა
**დ ა ა დ გ ი ნ ა:**
1. ჟანნა ზინჩენკოს, ნარგიზ მანველიძის და ოთარი რუსეიშვილის წარმომადგენლის როინ შავაძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. სამოქალაქო საქმეზე ჟანნა ზინჩენკოს, ნარგიზ მანველიძის და ოთარი რუსეიშვილის სარჩელისა გამო მოპასუხეების ფატმან ირემაძის, ინა ჯაველიძის, ანდრეა კეშელავას, თამარა ანტონოვა-კრიტიკოვას მიმართ ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2009 წლის 22 სექტემბერს, 11 საათზე;
3. ეცნობოს მოპასუხე თამარა ანტონოვა-კრიტიკოვას, რომ თუ იგი, ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდებიან სასამართლოს სხდომაზე, სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს მათი დასწრების გარეშე;
4. განხორციელდეს საჯარო შეტყობინება გაზეთ "24 საათის" მეშვეობით მოსარჩელე მხარის ხარჯზე;
5. განჩინების ასლი გადაეგზავნოს გაზეთ "24 სათის" რედაქციას გამოქვეყნების მიზნით.

**მოსამართლე: ხათუნა ბოლქვაძე**

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია აცხადებს

გაზეთ "24 საათი"–ს 2009 წლის 10 სექტემბრის №179 ნომერში თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში აუქციონის ჩატარების შესახებ მოხდეს ტექნიკური შეცდომის შესწორება, კერძოდ:

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ქ. რუსთავი, XVII მ.რ №23 მ/ტ | 672 | 02 | 02 | 03 | 811 | 6492 | 2596 | 500 |
| 5 | ქ. რუსთავი, მესხიშვილის IIIგას. მ/ტ | 119 | 02 | 03 | 02 | 571 | 1150 | 460 | 200 |

შპს "ჯინდალ პეტროლიუმ ჯორჯია" აცხადებს ტენდერს 4000 (+-20%) ტონა BRENT (DTD)-ის ტიპის ნედლი ნავთობის გაყიდვასთან დაკავშირებით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო განაცხადის მისაღებად უნდა დაუკავშირდნენ ბ-ნ. ლ. აფაქიძეს (მობ: .+995 99 551139, E-mail: lapakidze@gmail.com). განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადაა 2009 წლის 28 სექტემბრის 17 სთ-ი. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, იოსებიძის 57, მე-5 სართული, ბინა 15.

**სსიპ მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტი აცხადებს საჯარო კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და მეცნიერ თანამშრომელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:**

1. ს/ს ცხოველთა გენეტიკისა და ფიზიოლოგიის განყოფილება:
ა) განყოფილების გამგე - 1 საშტატო ერთეული;
ბ) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.
2. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის განყოფილება:
ა) განყოფილების გამგე - 1 საშტატო ერთეული;
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
გ) მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:
1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული, მ.შ. ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაწრომების ჩამონათვალი;
5. 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
6. შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
7. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).
საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ მიხ. რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტში, მისამართი: 0162, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87, I სართული.
კონკურსი მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა საჯარო გამოცხადებიდან 1 თვე.
კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 12 ოქტომბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
თბილისი, ფალიაშვილის ქ. 87, 22-20-43, www.cattlebreedinst.org
პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე კ. ნაცვალაძე.

თბილისის საქალაქო სასამართლო

მის.: დ. აღმაშენებლის მე-12 კმ. №6 54 10 63 (შიდა 236) 877 28 32 54

საქმე №2/2814-09 „17 აგვისტო“ 2009 წ

სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს

სახელი, გვარი, სახელწოდება

აბაშიძის №2

მისამართი

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ივლისის განჩინების ასლი საჯარო შეტყობინების შესახებ.

დანართი : „01“ ფურცლად

პატივისცემით,

მოსამართლის თანაშემწე: ნათია ქართველიშვილი

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის, პასუხის (შესაგებლის), სააპელაციო საჩივრის, სააპელაციო პასუხის (შესაგებლის), საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პასუხის (შესაგებლის) ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა), საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა (ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №12) და ნებისმიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე მოიძიოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (www.hcoj.gov.ge), საქართველოს უზენაესი სასამართლოს (www.supremecourt.ge), თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (www.tbilisiappeal.court.gov.ge/index.php) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (www.gba.ge) საიტებზე.

ბანკი რესპუბლიკა BANK REPUBLIC
შემოს. № 1/1374
26 - 08 2009

2/2814-08

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ

30 ივლისი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ელისო ტუკვაძე

| | |
|---|---|
| მოსარჩელე: | სს ბანკი „რესპუბლიკა“ |
| წარმომადგენელი | კს „ნოდია და პარტნიორები“ |
| მოპასუხე: | მაია ბაკურაძე |
| დავის საგანი: | საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, დავალიანების დაკისრება |

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

2008 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს წარმომადგენელმა მოპასუხე მაია ბაკურაძის მიმართ. სარჩელით მოითხოვა ბანკსა და მაია ბაკურაძეს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და დავალიანების დაკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით:

2007 წლის 15 ნოემბერს სს ბანკი „რესპუბლიკა“-სა და მაია ბაკურაძეს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება ესპრესო სესხისათვის №000042143 და მაია ბაკურაძის სასარგებლოდ გაიცა კრედიტი 2750 ლარის ოდენობით, 12 თვის ვადით – 2008 წლის 15 ნოემბრამდე. კრედიტით სარგებლობისათვის მსესხებელი ვალდებული იყო ბანკისათვის გადაეხადა საპროცენტო სარგებელი წლიური 26%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესაბამისად სს ბანკი „რესპუბლიკა“-მ გასცა სესხი 2750 ლარის ოდენობით, რაც დასტურდება 2007 წლის 15 ნოემბრის მემორიალური ორდერით. მხარეებს შორის შედგა სესხის დაფარვის გრაფიკი, რომლითაც განისაზღვრა მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტის ოდენობა. მოპასუხის მიერ აღნიშნული გრაფიკი არის დარღვეული, რის გამოც 2008 წლის 17 ივნისის მდგომარეობით მაია ბაკურაძის საკრედიტო დავალიანება შეადგენს 2928.36 ლარს. დავალიანება დასტურდება სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს მიერ 2008 წლის 17 ივნისს გაცემული №511/01 ცნობით დავალიანების შესახებ.

სარჩელის თანახმად სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს წარმომადგენელმა მოითხოვა სს ბანკი „რესპუბლიკა“-სა და მაია ბაკურაძეს შორის 2007 წლის 15 ნოემბერს დადებული №000042143 საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება დავალიანების თანხის 2928.36 დაკისრება.

სარჩელი წარმოებაშია მიღებული 2008 წლის 28 ივლისის განჩინებით. საქმის მომზადების მიზნით სარჩელი და თანდართული მასალები რამოდენიმეჯერ გაეგზავნა მაია ბაკურაძეს საქმის მასალებში დაფიქსირებულ მისამართზე (თბილისი, ჯავის მე-2 შესახვევი №9) და ვერ ჩაბარდა. აღნიშნულ მისამართზე მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარება დაევალა შსს ტერიტორიული ორგანოს შესაბამისს საუბნო სამსახურს. გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-9 განყოფილების აქტით ირკვევა, რომ თბილისში, ჯავის ქ. მე-2 შესახვევი №9-ში მაია ბაკურაძე წელიწადნახევარია რაც აღარ ცხოვრობს.

მოპასუხის სწორი საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს წარმომადგენელმა წარმოადგინა ცნობა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სამისამართო

1

ბიუროდან, სადაც მაია ბაკურაძის რეგისტრაციის მისამართად მითითებულია იგივე მისამართი – თბილისი, ჯავის II შესახვევი №9.

2009 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს წარმომადგენელმა და იშუამდგომლა სარჩელის მოპასუხე მაია ბაკურაძისათვის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე მაია ბაკურაძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია, მას უნდა ეცნობოს მოცემული საქმის წარმოების შესახებ შეტყობინების საჯაროდ გავრცელებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, $232^1$-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს მოპასუხე მაია ბაკურაძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №6) მოსარჩელე სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს მიერ აღძრულია სამოქალაქო საქმე, სადაც დასახელებულია მოპასუხედ. სარჩელის მიხედვით დავის საგანს წარმოადგენს მასსა და სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს შორის 2007 წლის 15 ნოემბერს დადებული №000042143 საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და დავალიანების – 2928.36 (ორიათასცხრაასოცდარვა ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარის მოპასუხისათვის დაკისრება;
2. მოპასუხე მაია ბაკურაძეს პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღე;
3. ეცნობოს მოპასუხე მაია ბაკურაძეს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე *გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.* ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს;
4. ეცნობოს მოპასუხე მაია ბაკურაძეს, რომ სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს მიერ წარმოდგენილია სარჩელი და შემდეგი თანდართული დოკუმენტები: 2007 წლის 15 ნოემბრის საკრედიტო ხელშეკრულების ასლი, პასპორტის ასლი, კრედიტის გაცემის შესახებ მემორიალური ორდერი, სს ბანკი „რესპუბლიკა“-ს მიერ გაცემული ცნობა დავალიანების შესახებ, ამონაწერი სესხის ანგარიშიდან, დავალიანების შესახებ იურიდიული შეტყობინებების ასლები, ასევე საჰონორარო შეთანხმების შესახებ ხელშეკრულება, სახელმწიფო ბაჟისა და იურიდიული მომსახურების შესახებ საგადახდო დავალებები, ასევე რწმუნებულებები. აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს სასამართლოში;
5. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში“;
6. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „24 საათში“-ში საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
7. *საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების პუბლიკაცია გაზეთ „24 საათში“ უნდა განხორციელდეს 2009 წლის 25 აგვისტომდე,* რის შესახებაც ეცნობოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას „გაზეთ 24 საათის“ შესაბამისი საგაზეთო ნომრის წარმოდგენით;
8. სარჩელი და თანდართული მასალებით ეკატერინე მაია ბაკურაძისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
9. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე:* *ე. ტუკვაძე*

ასლი დედანთან სწორია
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

2

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

79-ე საჯარო სკოლა აცხადებს აუქციონს, შენობა-ნაგებობების პირველ სართულზე არსებული 14 კვ. მ ფართის, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით, ბუფეტის ფუნქციონირებისათვის. პირობების შესახებ დაგვიკავშირდით - ტელ.: 24-71-64; 788 930079.

## სატენდერო განცხადებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ (2009 წლის 31 აგვისტოს, გაზეთი “24 საათი” N188) გამოცხადებულ ***მაღალი გამავლობის ჯიპისა და პიკაპის ტიპის ავტომობილის და სამაშველო სპეცტექნიკის შესყიდვის*** შესახებ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
2. შევიდეს ცვლილებები და დამატებები მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

***- შესყიდვის ობიექტის დაყოფილია 2 (ორი) ლოტად:***

- ლოტი N1 - 1 (ერთი) ცალი მაღალი გამავლობის ჯიპი და 4 (ოთხი) ცალი პიკაპის ტიპის ავტომობილი *(შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში);*
- ლოტი N2 - 1 (ერთი) ცალი სამაშველო სპეცტექნიკა *(მეორადი, რომლის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში);*

3. სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები და პუნქტები რჩება უცვლელი.